საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 33 (2146) | პარასკევი, 23 თებერვალი, 1996 წელი. | ფასი 30 თეთრი

„საქართველოს სინამდვილეში მიწის კანონის მიღება უაღრესად პოლიტიზირებულ პრობლემად იქცა. საზოგადოების ერთი ნაწილი, მათ შორის, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები შიშობენ, რომ მიწის საკუთრების შემოღება ეროვნულ ინტერესებს შელახავს. მათი სიფრთხილე ბუნებრივია და გასაგებია. მიწის საკითხი ქართველი კაცისათვის ყოფნა-არყოფნის დონეზე აღიქმება. ამის გადასაწყვეტად ყველა მოსაზრება უნდა განვიხილოთ და შევაჯეროთ, გავიაზროთ, არის თუ არა შეშფოთების საფუძველი."

ედუარდ შევარდნაძის 19 თებერვლის რადიოინტერვიუდან

ბრიფინგი

მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეროვნული, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის

22 თებერვალს სახელმწიფო კანცელარიის შენობაში საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კანონპროექტის წარდგენასთან დაკავშირებით გაიმართა ბრიფინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძე, საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის უფროსი ჯონი ხეცურიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი სერგო ჯორბენაძე.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ აბაშიძემ დამსწრეთ გააცნო საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა პარლამენტისადმი, რომელშიც კერძოდ, ნათქვამია:

სამოქალაქო კოდექსის მიღება, ეჭვი არ უნდა, საეტაპო მოვლენაა ყოველი ქვეყნის ცხოვრებაში. ისტორიულად სამოქალაქო კოდექსები საფუძველს უყრიდნენ და განამტკიცებდნენ სამოქალაქო საზოგადოებას.

ამ კოდექსებში ჩამოყალიბებული ნორმებისა და პრინციპების მეშვეობით მტკიცდებოდა პიროვნების, საკუთრების, მეწარმეობის თავისუფლების, ოჯახის ხელშეუხებლობის საფუძვლები, რომლებიც დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს წლების მანძილზე ზრდიდა და რუდუნებით დღევანდელ კეთილდღეობამდე მიიყვანა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საქართველოს ხალხის კეთილდღეობის სამართლებრივი საფუძველი უნდა გახდეს.

წარმოდგენილი პროექტი ეყრდნობა სამოქალაქო სამართლის ისტორიულ გამოცდილებას, როგორც სპეციალისტები ადასტურებენ, მასში შეძლებისდაგვარად ასახულია თანამედროვე ცივილიზაციის უახლესი მიღწევები. საგულისხმოა, რომ კოდექსი შედგენილია ქართველი იურისტების მიერ უცხოელ სპეციალისტებთან თანამშრომლობით და შეესაბამება როგორც საქართველოს რეალიებს, ისე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

პარლამენტის წევრების ყურადღებას მივაპყრობდი შემდეგ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რომლებიც ამომწურავად არის გადაწყვეტილი წარმოდგენილ კანონპროექტში. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებოა პროექტის პოზიცია სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების მიმართ. კერძოდ, კოდექსის ურთიერთობათა მონაწილეები თანასწორუფლებიანი სუბიექტები არიან. კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ისეთივე უფლებებით სარგებლობს, როგორც კერძო პირი. ამიტომაც სახელმწიფოს თანასწორუფლებიან კონკურენციაში მოუწევს თავისი კომერციული უნარის დადასტურება. დაწყებული ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმის გზაზე ეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. სამოქალაქო კოდექსის ეს ნაწილი იძლევა ისეთი იურიდიული პირების დაწვრილებით რეგლამენტაციას, რომლებიც უცხო იყო ჩვენი სინამდვილისათვის.

კოდექსი ავითარებს საქართველოს კონსტიტუციის დებულებას საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების ხელშეუხებლობის შესახებ, იძლევა მოძრავი და უძრავი ნივთების ლეგალურ ცნებებს და ფართოდ უღებს კარს ისეთ ინსტიტუტებს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია სრულყოფილი საკუთრება. საკუთრების თავისუფლებასთან ერთად პროექტი მის შეზღუდვასაც ითვალისწინებს, რაც განპირობებულია სოციალური ჰარმონიისა და საზოგადო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნებით.

ფურცლის ერთი გადაშლითაც კი განსაკუთრებული სიახლეებით გამოირჩევა კოდექსის ის ნაწილი, რომელიც ვალდებულებით სამართალს ეძღვნება. შეიძლება ითქვას, რომ შეივსო ის იურიდიული ვაკუუმი, რომელიც არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობების სფეროში. შემოდის სახელშეკრულებო ურთიერთობათა ისეთი ფორმები, რომლებიც დღემდე უცხო იყო ჩვენი სინამდვილისათვის. პრინციპი — ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით აკრძალული არ არის, ყველაზე თვალსაჩინოდ სწორედ ვალდებულებით ურთიერთობებში ვლინდება. იმავდროულად კოდექსი იძლევა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკურად არაძლიერის დაცვის გარანტიებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობდი აგრეთვე კოდექსის იმ ნაწილს, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების სამართალს ეძღვნება. ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის დაცვა, მისი ამოქმედება და საერთაშორისო არენაზე ფართოდ გატანა საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული ამოცანაა. მისასალმებელია, რომ სპეციალისტების მტკიცებით, კოდექსის ამ ნაწილშიც ასახულია ავტორთა უფლებების დაცვის თანამედროვე მიღწევები.

კოდექსი გამორჩეულ ადგილს უთმობს საოჯახო ურთიერთობებს, როგორც საზოგადოების უმთავრეს დასაყრდენს, ეროვნულ ტრადიციებთან ერთად საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის ნორმებში თანამედროვე საზოგადოების პრობლემებიც არის ასახული. პროექტი ცდილობს საოჯახო და სამემკვიდრეო ურთიერთობებში წამოჭრილი კონფლიქტები ზნეობრივი პოსტულატების საფუძველზე მოაწესრიგოს.

ყურადსაღებია ის ტერმინოლოგიური სიახლეები, რომლებიც პროექტში ასახულია და უთუოდ შემოქმედებითი ძალისხმევის შედეგია. შეიძლება ბევრი რამ აქ სადავოც იყოს, მაგრამ ქართული იურიდიული ენის სრულქმნა და მისი თანამედროვე რეალიებთან მისადაგება უამისოდ წარმოუდგენელია.

კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობდა ქართველი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ცივილისტების დიდი ჯგუფი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგის, პროფესორ სერგო ჯორბენაძის ხელმძღვანელობით. პროფესორ სერგო ჯორბენაძის მაღალმა მეცნიერულმა და ორგანიზატორულმა უნარმა, ეროვნული სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებისადმი უმაღლესი პასუხისმგებლობის შეგრძნებამ, რომ ოთხწლიანი დაძაბული შემოქმედებითი შრომით სწავლულ და პრაქტიკოს იურისტთა ამ ჯგუფმა მოამზადა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტი, რომელიც ექვსი წიგნისა და 1481 მუხლისაგან შედგება.

შესრულებულია დიდი სამუშაო და კოდექსში გაცხადებულ სიახლეებს პარლამენტარები, იმედია, მხარს დაუჭერენ.

ედუარდ შევარდნაძე.

თავდაცვის სამინისტროში

22 თებერვალს თავდაცვის სამინისტროში გაიმართა ბრიფინგი, რომელზეც მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ ჟურნალისტებს გააცნო თავისი ამასწინანდელი მოსკოვის ვიზიტის შედეგები.

ბატონმა ვ. ნადიბაიძემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს 19 იანვარს თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერების მიერ აფხაზეთის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს. როგორც მინისტრმა განაცხადა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი საქართველოს დელეგაციის მიერ წარდგენილ ვარიანტს. რაც შეეხება სამშვიდობო ძალებისათვის ახალი მანდატის მინიჭებას, გადაწყდა, რომ ექსპერტთა ჯგუფი შეიმუშავებს მას საქართველოს წინადადების საფუძველზე.

როგორც ვარდიკო ნადიბაიძემ განაცხადა, იგი შეხვდა ვლადისლავ არძინბას გრაჩოვის სამუშაო კაბინეტში. შეხვედრას ესწრებოდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბორის პასტუხოვი და საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძე. ამ შეხვედრაზე არძინბამ კვლავ გაიმეორა ორაერთგზის ნათქვამი წინადადება იმის თაობაზე, რომ შეიქმნას საქართველოსთან ფედერაციული კავშირი, რაც, თავისთავად, ახალს არაფერს შეიცავს და მიუღებელია ჩვენი ქვეყნისათვის.

ბრიფინგზე დიდი ყურადღება დაეთმო სამშვიდობო ძალებისათვის ახალი მანდატის მინიჭების საკითხს. შეკითხვაზე, თუ როგორ იმოქმედებს საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების შესაძლო გაყვანის შემდეგ, თავდაცვის მინისტრმა უპასუხა, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის პოზიციაა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგება. მაგრამ, თუ ჯარი მართლაც გაიყვანება რუსეთის მხარეს, ვიმოქმედებთ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე. სამშვიდობო ძალების შესაძლო გაყვანის შემთხვევაზე უნდა დაფიქრდეს ვლადისლავ არძინბაც.

თავდაცვის მინისტრმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

საქინფორმი.

აქტუალური ინტერვიუ

...საქართველო მართლა გაიყიდება?

საქართველოში მიწის კანონმდებლობის საფუძვლები დაივიწყებას მიეცა. დღეს მიწასთან ყველას პირადი ანგარიში აქვს... რა გაეწყობა, ბატონო, ძველო მიწავ, დრო დადგება ახალი, ალბათ ამას ელოდი, კეთილო მიწავ...

მიწის თაობაზე უთვალავჯერ ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ, პრობლემები კი გადასაწყვეტი რჩებოდა. ამ ბოლო წლებში კი (რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა) მიწის ხსენება უფრო გახშირდა, მაგრამ ყველაფერს წერტილს დაუსვამს კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", რომელმაც პარლამენტის მუშაობის დღის წესრიგში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

ამ კანონპროექტის ზოგიერთი მუხლის განმარტებისათვის ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური კანონმდებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ქალბატონ ლია იაშვილს.



— ქალბატონო ლია, გვითხარით, რა დრო დასჭირდა კანონპროექტის მომზადებას და ვინ არიან მისი ავტორები?

— აღნიშნული კანონპროექტის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო ჯერ კიდევ 1994 წლის დამდეგს. კანონპროექტი შეიმუშავა სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის აგრარული ქვეკომისიის მიერ, რომლის წევრები არიან იურისტები, ეკონომისტები, ეთნოგრაფები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები — სულ 30-მდე კაცი. პროექტზე მუშაობა დასრულდა 1995 წლის მაისის თვეში, შემდეგ მან გაიარა სამართლებრივი ექსპერტიზა სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებაში, მათ შორის, იუსტიციის სამინისტროშიც.

— კანონპროექტში აღნიშნულია, რომ კანონის მიზანია, მიწის დაქუცმაცების თავიდან აცილება, მაგრამ დამახინჯებული პრივატიზაციის შედეგად, იგი უკვე დაქუცმაცებულია, და ჰყავს მრავალი კანონიერი თუ უკანონო მფლობელი. არეგულირებს თუ არა ამ საკითხს წინამდებარე პროექტი?

— შეუძლებელია, რომელიმე კანონმა სრულად მოიცვას ყველა საკითხი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი კანონი მოქმედებს არა იზოლირებულად, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთობლიობით. აღნიშნულ საკითხებს სრულად აწესრიგებს საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 თებერვლის ბრძანებულება, რომელიც წარმოდგენილ პროექტთან ერთად იქნა გამოქვეყნებული. ბრძანებულების პირველსავე პუნქტში მითითებულია, რომ კერძო საკუთრებაში გადაცემულად მიიჩნევა მხოლოდ ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც გაცემული იყო მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და კანონიერ სარგებლობაში იმყოფებოდა, ხოლო არსებული წესების დარღვევით დაქუცმაცებული მიწის ფართობები ბრძანებულების შესაბამისად, ექვემდებარება გამთლიანებას მიწების სახელმწიფოსათვის დაბრუნების გზით. ამ მიზნით, ბრძანებულება ითვალისწინებს სამიწათმოწყობო სამუშაოების ხელახალ განხორციელებას.

ამასთან, წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, თუ გასხვისებაზე ნებართვის გამცემი ორგანო შემდგომში აღმოაჩენს, რომ გასხვისება მოახდინა პირმა, რომელიც არ იყო კანონიერი მფლობელი, მას შეუძლია გასხვისების რეგისტრაციის დღიდან 10 წლის განმავლობაში გააბათილოს ეს გარიგება, და მიწა დაუბრუნოს კანონიერ მფლობელს, ე. ი. სახელმწიფოს.

(დასასრული მე-2 გვ.)

აღინიშნა სამშობლოს დამცველის დღე

22 თებერვალს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბის სხდომათა დარბაზში აღინიშნა რუსეთის ფედერაციის სამშობლოს დამცველის დღე.

სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი— გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე და ქალაქ თბილისის მერი ბადრი შოშიტაიშვილი, შესავალი სიტყვით გახსნა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილემ აღმზრდელობით დარგში, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ბელჩენკომ.

გამომსვლელებმა — ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა პავლე ლაბუტინმა და საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვლადიმერ ზემსკიმ, ილაპარაკეს იმ ტრადიციებზე, რომლებმაც რუსულ არმიას სახელი მოუხვეჭეს, როგორც ისტორიული ბრძოლების, ისე დიდი სამამულო ომის დროს.

სხდომაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა.

გენერალ-მაიორმა, ვლადიმერ ბელჩენკომ საზეიმო სხდომის მონაწილეებს გააცნო ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ თევდორე რეუტისადმი გამოგზავნილი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მისალოცი წერილი. წერილში, კერძოდ, ნათქვამია:

„გულითადად გილოცავთ თქვენ და მთელ მხედრულ კოლექტივს სამშობლოს დამცველის დღესასწაულთან დაკავშირებით. რუსეთის ისტორიაში ბევრია სახელოვანი გმირული ფურცელი. და, არასოდეს არ დავიწყებოდეთ რუსეთელებს თავიანთ გმირთა საამაყო სახელები.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ზეიმი იქნება სიმტკიცისა და სამშობლოსადმი ერთგულების სიმბოლო.

მოხარული ვარ, რომ ჩვენი ურთიერთობა სულ უფრო ვითარდება ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის საფუძველზე".

კონცერტი ქართული არმიის მეომრებისათვის

ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ ქართული არმიის ჯარისკაცებს. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კულტურის სამინისტრომ, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის ხელმძღვანელობამ და შოუ-ბიზნეს ცენტრმა „ლომისმა" 22 თებერვალს გამართეს კონცერტი. ფარაჯიანი ჭაბუკები შეხვდნენ მათთვის საყვარელ მსახიობებს. სიმპათიები ორმხრივი აღმოჩნდა: ტაშის გრიალით ხვდებოდნენ მეომრები მსახიობებს, რომლებიც განსაკუთრებული მონდომებით თამაშობდნენ სცენაზე...

„სუიტამ", „ფერხულმა", „ქართულმა", „ხორუმმა", რომლებითაც მაყურებლის წინაშე წარსდგა ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ეროვნული ბალეტი ნინო რამიშვილისა და თენგიზ სუხიშვილის ხელმძღვანელობით, თავისებური მაჟორული ტონალობა მისცა კონცერტს, ხოლო საქართველოს სახელმწიფო სიმღერის და ცეკვის ანსამბლის მიერ ჯემალ ჭკუასელის ხელმძღვანელობით შესრულებულმა „ოდოიამ", კიდევ უფრო განამტკიცა ეს განწყობა.

მეომრებმა ოვაცია მოუწყვეს საყვარელ მსახიობებს.

ამიერიდან, ასეთი კონცერტები რეგულარულად მოეწყობა ქართული არმიის მეომრებისათვის.

საქინფორმი.

ბაკურ გულუა:

კიდევ ერთხელ ვიმეორებ— ეს არ არის კანონი მიწის გაყიდვის შესახებ

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული 7 მილიონამდე ჰექტარია, აქედან, მხოლოდ 12 პროცენტზეა საუბარი, დანარჩენი მიწა ცხადდება სახელმწიფო საკუთრებად.

ამ სიტყვებით დაიწყო მორიგი პრესკონფერენცია სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბატონმა ბაკურ გულუამ. საკითხი ეხებოდა კანონპროექტს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ".

პრესკონფერენციაზე ფართო მსჯელობა გაიმართა ამ კანონის გარშემო.

როგორც ცნობილია, დღეს საქართველოში 650 ათასამდე ჰექტარი მიწის სავარგულია, რომლის განაწილების სამართლებრივი საფუძველი თითქმის არ არსებობს.

სახელმწიფო მეთაურის ბრძანების შესაბამისად შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ დამუშავებული კანონპროექტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებისა და საადგილმამულო მეურნეობების შეძენის და გასხვისების წესს განსაზღვრავს, აგრეთვე იმავე მიწების დაგირავების წესსაც არეგულირებს და ამავე დროს აყალიბებს პირობებს სახელმწიფოს მონაწილეობისა აღნიშნულ ნაკვეთებთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგებაში.

მინისტრმა მოკლედ მიმოიხილა რესპუბლიკის აგროკომპლექსში შექმნილი მდგომარეობა და მისგან გამომდინარე ის უარყოფითი მოვლენები, რომლებმაც სოფლის მეურნეობის განვითარების დაქვეითებაში გარკვეული ასახვა ჰპოვეს.

გამოიყო საკითხთა ფართო სპექტრი:

სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და საადგილმამულო მეურნეობის ცნება;

გამოსყიდვის სახელშეკრულებო უფლებები;

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან სამართლებრივი მოწესრიგება და სხვა.

კონსტიტუციის მიღების შემდეგ ასეთი ვნებათა ღელვა არც ერთ კანონპროექტს არ გამოუწვევია, აღნიშნა მინისტრმა, ეს გასაგებიცაა, მიწის საკითხი მეტისმეტად სათუთი და მტკივნეული საკითხთაგანია, სახელმწიფო, ხელისუფლება ვალშია მიწათმოქმედის წინაშე. დღეისათვის პირველი ნაბიჯი იდგმება ამ საქმეში წესრიგის დასამყარებლად, მეტს ვერ აიტანს ჩვენი გაძვალტყავებული ქვეყანა. კანონპროექტი თვალითაც რომ არ უნახავს, ხმამაღლა, დემაგოგიურად გაჰყვირის — იყიდება ქართული მიწები! რას ვიზამთ, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „ქართველებს უყვართ კამათი მაშინაც კი, როცა არ იციან რაზე კამათობენ". დღესაც ასე ხდება...

ამ კანონპროექტთან ერთად აუცილებელია ყურადღებით წავიკითხოთ პრეზიდენტის 1996 წლის 11 თებერვლის ბრძანებულება — „მიწის რეფორმის ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად არსებული ხარვეზებისა და დარღვევების გამოსწორების, მიწის რეფორმის დაჩქარებისა და მიწათსარგებლობაში სათანადო წესრიგის დამყარების შესახებ", რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა. ამ ბრძანებულებით ბევრ ბუნდოვან საკითხს ნათელი ეფინება.

კანონპროექტმა ბევრი შეკითხვა წარმოშვა.

ოჯახში მხოლოდ ერთ შვილზე მიწის ნაკვეთის გადაცემა დანარჩენ შვილებს შორის დავას ხომ არ გამოიწვევს? ხომ არ მოხდება დაპირისპირება?

როგორ კანონებს მიიღებენ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კანონპროექტი სახეცვლილებას ხომ არ განიცდის? ვინ იქნება მოიჯარე?

თუ მოიჯარე სხვა რაიონში ცხოვრობს, იჯარით მიწა სხვა რაიონში აქვს, რომელი რაიონის ბიუჯეტში შევა საიჯარო გადასახადი?

ბატონმა ბაკურ გულუამ დამაჯერებელი პასუხები გასცა შეკითხვებს და აღნიშნა, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ მალე დაიწყება ახალი რეგისტრაცია, საიჯარო ურთიერთობის რევიზია და მოწესრიგდება. ეს საკითხები, მოხდება მიწის, როგორც გირავნობის საშუალებად გადაქცევა.

რაც შეეხება მიწის მხოლოდ ერთ მემკვიდრეზე გადაცემას, ეს გამოიწვია განზრახვამ — არ მოხდეს მიწის დაქუცმაცება, ხოლო დანარჩენ მემკვიდრეზე ოჯახის მიერ გაიცემა კომპენსაცია.

რაც შეეხება მიწის შესახებ კანონის დაჩქარებით მიღებას და თითქოსდა ზეწოლას საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, სინამდვილეს არ შეეფერება.

— ასეთი საჭირო კანონი ადრევე უნდა მიგვეღო, დასძენს მინისტრი, რას არეგულირებს იგი?

— ვიმეორებ, საკარმიდამო, რომელიც შევსებულია, საბაღე, საბოსტნე, საგარაკო ნაკვეთები ცხადდება კერძო საკუთრებად, ხდება კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, მიწის გამოყენება, მოვლა, დაცვა, გადასახადები, ერთ მემკვიდრეზე გადასვლა, საკრედიტო-საბანკო ურთიერთობათა მოწესრიგება და სხვა.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს, ისინი მზად არიან საქართველოს დასახმარებლად, ეძებენ კიდეც დახმარების გზებს და თუ დარწმუნდებიან, რომ საქართველო ნამდვილად დაადგა განვითარების ცივილიზებულ გზას, დახმარებას არ დააყოვნებენ. ეს კი, საბოლოო ჯამში, ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ნაზი იმნაიშვილი.

კანონპროექტი სოციალურ გამოკვლევათა ჭრილში

საქმეში ჩაუხედავი, ან აკვიატებული აზრის მქონე ზოგიერთი პოპულისტის ეგზალტირებული გამოსვლებისგან განსხვავებით, ხალხი დინჯად და დაინტერესებით განიხილავს კანონპროექტს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ. ეს არა თუ არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს აზრთა სხვადასხვაობას, საქმიან, აზრიან შენიშვნებსა და წინადადებებს. სწორედ ასეთი განსჯის, პოზიციათა შეჯერების შედეგად ჩამოყალიბებული და დახვეწილი კანონი სჭირდება დღეს საქართველოს.

ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის მიმართ საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულების დინამიკა ადასტურებს, რომ ბოლო პერიოდში პრესაში გამოქვეყნებულმა წერილებმა, ტელე და რადიოგადაცემებმა, რომლებშიც განმარტებული იყო კანონის შედგენის პრინციპები, მისი არსი, ცალკეული დებულებები, მუხლები და დეტალები, გარკვეულწილად დააკვალიანა ქვეყნის მოსახლეობა.

ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი თვით კანონპროექტის გამოქვეყნებამ, რაც მისი საერთო-სახალხო განხილვის აუცილებლობის პრეზიდენტისეული წინადადების რეალიზაციის შედეგი იყო.

გამოკითხულთა შორის დაფიქსირდა არცთუ უმნიშვნელო პროცენტი ადამიანებისა, ვინც კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის უფლების დაკანონების წინააღმდეგი იყო.

საინტერესოა, რომ თუ თებერვლის დასაწყისში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად, მათი რაოდენობა 51 პროცენტი იყო, 17-18 თებერვლის გამოკვლევის შედეგად, ეს ციფრი 29 პროცენტამდე შემცირდა.

გაიზარდა მოსახლეობის ინტერესი კანონპროექტის მიმართ, რასაც ადასტურებს მისთვის სისტემატური თვალყურის მიდევნება.

კიდევ რამდენიმე ძირითადი მომენტი:

გამოკითხულთა 77 პროცენტი ეთანხმება წინადადებას, რომ მიწის ის ნაკვეთი, რომელიც მისი ან მისი ოჯახის მფლობელობაშია, გადაეცეთ კერძო საკუთრებაში, წინააღმდეგია მხოლოდ 7 პროცენტი, 16 პროცენტს ჯერჯერობით უჭირს თავისი პოზიციის დაფიქსირება.

მასობრივ ცნობიერებაში განსაკუთრებით რადიკალური განწყობილება აღინიშნება უცხოელი მოქალაქეებისათვის მიწის იჯარით გაცემის უფლების დაკანონების წინააღმდეგ.

სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ, სამწუხაროდ, მასობრივი ცნობიერება ჯერ კიდევ არ არის გათავისუფლებული კომუნისტური იდეოლოგიის ნარჩენი მოვლენებისგან. ამიტომ არის, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კარგად ვერ ერკვევა კერძო საკუთრების არსში, მათ შორის, იმ ასპექტით, რომ კერძო საკუთრების მფლობელს აქვს მისი ყიდვა-გაყიდვის უფლება.

ამ წინააღმდეგობითაც შეიძლება აიხსნას ის სიტუაცია, როდესაც უმრავლესობა თანახმაა მის ან მისი ოჯახის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის კერძო მფლობელობაში გადაცემისა, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეული უნდობლობით ეკიდება მისი ყიდვა-გაყიდვის დაკანონებას.

გამოკვლევები პრესასა და რადიო-ტელევიზიაში კანონპროექტის განხილვის პარალელურად გრძელდება და შედეგებს პერიოდულად გაგაცნობთ.

„თქვენი ვიზიტი დიდად წაადგება საქართველოს ხალხს“

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო წერილი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ნიქსონების ოჯახის, ნიქსონის ბიბლიოთეკისა და ნიქსონის ცენტრის დირექტორთა საბჭოს სახელით ბატონი ჯონ. ჰ. ტეილორი იტყობინება, რომ ისინი უერთდებიან ორინჯის მხარის მსოფლიო საქმეთა საბჭოს მოწვევას, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე ესტუმროს სამხრეთ კალიფორნიას. ორინჯის მხარის მსოფლიო საქმეთა საბჭო აერთიანებს სამხრეთ კალიფორნიის ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნებებს საქმიანი და სამოქალაქო სფეროებიდან. „ეს იქნება ღირსეული ფორუმი თქვენთვის, რათა ჩამოაყალიბოთ საქართველოს მომავალი განვითარების თქვენეული ხედვა, — ნათქვამია წერილში. — თქვენი ვიზიტის დროს ჩვენთვის პატივი იქნება, გაგიმართოთ მიღება აქ, იორბა ლინდაში, ოცდამეჩვიდმეტე პრეზიდენტის დაბადების ადგილას.

„პრეზიდენტ ნიქსონს 1991 წლის ვიზიტის დროს მოსკოვში პატივი მქონდა, დავსწრებოდი თქვენს შეხვედრას მასთან. თქვენ უკვე მიღებული გქონდათ ისტორიული გადაწყვეტილება იმ მრავალრიცხოვან ნაბიჯებს შორის, რომლებიც გადადგით, როგორც საუკუნის ერთ-ერთმა სახელმწიფო მოღვაწემ — დაგეტოვებინათ გორბაჩოვის მთავრობა. თქვენმა შენიშვნებმა იმ დროისათვის უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ყოფილ პრეზიდენტზე, რომელმაც მოამზადა მოხსენება პრეზიდენტ ბუშისადმი. იგი დაჟინებით ურჩევდა პრეზიდენტს შეემცირებინა დამატებითი დახმარება საბჭოთა მთავრობისადმი, სანამ არ გამოიკვეთებოდა რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების პერსპექტივები.

თქვენ პატივს სცემდით პრეზიდენტ ნიქსონს; გთხოვთ კვლავ პატივი დასდოთ მას იმ ადგილის მონახულებით, სადაც იგი დაიბადა და სადაც ახლა განისვენებს. ჩვენ ცდას არ დავაკლებთ, რათა გარანტია მოგცეთ, რომ თქვენი ეს ვიზიტი დიდად წაადგება თავისუფალი საქართველოს ხალხს, რომელსაც ასე დაულალავად და მხნედ ემსახურებით“ — ნათქვამია წერილში.

საქინფორმი.

კანონპროექტი მთავრობას დაუბრუნდა

ასეთი ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს პარლამენტმა 22 თებერვალს გამართულ პლენარულ სხდომაზე, და ამით, ერთხელ კიდევ გააქარწყლა მითი „საკმაოდ მორჩილი უმრავლესობის შესახებ“, როგორადაც ზოგიერთებმა მონათლეს ახლად არჩეული საკანონმდებლო ხელისუფლება.

ამ დღეს პლენარული სხდომის განხილვის საგანს წარმოადგენდა კანონპროექტი „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 8 დეკემბრის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. საკითხი წარმოადგინა იუსტიციის მინისტრმა თედო ნინიძემ.

მოხდა ისე, რომ პარლამენტმა წარმოდგენილი კანონპროექტი დაიწუნა. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტით განსაზღვრულია აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო უწყებები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობის ძირითადი პრინციპი, კამათში მონაწილეთა აზრით წარმოდგენილ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი სახელმწიფო დეპარტამენტებისა და კორპორაციების საქმიანობის წესის შესახებ. მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, თუ რა სახის ურთიერთობა უნდა დამყარდეს მომავალში აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებს შორის, რა ფუნქციები დაეკისრებათ მათ.

პარლამენტარებმა სინანული გამოთქვეს იმ ფაქტის გამო, რომ დეკემბერში კანონის მიღების დროს მათ მიერ გამოთქმულმა შენიშვნებმა და წინადადებებმა ასახვა ვერ ჰპოვეს წარმოდგენილ ცვლილებებსა და დამატებებში.

პარლამენტის გადაწყვეტილებით კანონპროექტი გადასამუშავებლად დაუბრუნდა მთავრობას. მას უახლოეს სხდომაზე განიხილავენ.

შემდეგ პლენარული სხდომა დაიხურა. პარლამენტმა განიხილა საკითხი „პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის, ხელის შეწყობის, ამომრჩეველთა ინტერესების დაცვის გარანტიების გაძლიერებისა და პარლამენტის წევრის სტატუსის განმტკიცების შესახებ“.

საქინფორმი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად მაჟორიტარულ ოლქში არჩევნების ჩატარების შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

დამტკიცდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინსტრუქცია გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად ერთმანდატიან ოლქში არჩევნების ჩატარების შესახებ.

ინსტრუქცია ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე.

1996 წლის 21 თებერვალი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინსტრუქცია

გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად ერთმანდატიან ოლქში არჩევნების ჩატარების შესახებ

1. **გამოკლებული** პარლამენტის წევრის ნაცვლად საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ კანონის 57-ე მუხლის შესაბამისად ერთმანდატიან ოლქში არჩევნებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2. გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად ერთმანდატიან ოლქში არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არასაპარლამენტო პარტიებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა გაიარონ რეგისტრაცია პარლამენტის არჩევნების შესახებ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად.

3. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ ერთმანდატიან ოლქში წარადგინონ პარლამენტის წევრობის თითო კანდიდატი.

4. თუ პარტია ერთმანდატიან ოლქში წარადგენს პირს, რომელიც შეყვანილია მის პარტიულ სიაში, ასეთი პირი ავტომატურად გამოიყვანება პარტიული სიიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი იმავე ოლქში წარდგენილი იყო კანდიდატად 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნებში იმავე პარტიის მიერ.

5. ერთმანდატიან ოლქში დამოუკიდებელი კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ ამომრჩეველთა არანაკლებ ხუთკაციან საინიციატივო ჯგუფებს პარლამენტის არჩევნების შესახებ კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად.

6. პარლამენტის წევრობის კანდიდატად არ შეიძლება პარლამენტის წევრის წარდგენა, თუ იგი წარდგენამდე არ განთავისუფლდება პარლამენტის წევრობიდან.

7. პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ განცხადება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

№ 20 რუსთავის საარჩევნო ოლქში არჩევნების დანიშვნის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

№ 20 რუსთავის საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრის არჩევნები დაინიშნოს 1996 წლის 2 ივნისს.

არჩევნები ჩატარდეს საქართველოს პარლამენტის შესახებ კანონისა და გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად არჩევნების ჩატარების შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინსტრუქციის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე.

1996 წლის 21 თებერვალი.

მიწის რეფორმა

მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესი სახელმწიფო კონტროლით წარიმართება

გამოქვეყნებული კანონპროექტი მიწის საკუთრების შესახებ განსახილველად უფრო ადრე უნდა ყოფილიყო შემოტანილი, რაც იმ ნეგატიურ მოვლენებს აგვაცილებდა, რომლებიც დღემდე მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაში მიწის საკითხთან დამოკიდებულებაში. კერძოდ, საკარმიდამო მიწების ხელოვნურად დაქუცმაცება ოჯახის წევრებზე, მიწის გაყიდვა ყოველგვარი კანონის გარეშე, მიწის დაუმუშავებლად დატოვება და მისი არარაციონალურად გამოყენება. ეს კანონი სწორედ ამ უარყოფითი მოვლენების დარეგულირების საშუალებას იძლევა და მიწასთან დამოკიდებულებაში საკუთრების ორ ფორმას აკანონებს: კერძო და სახელმწიფო საკუთრებას.

სანამ მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის უპირატესობას აღვნიშნავდეთ, უნდა ვთქვათ, რომ ეს კანონი მარტო სასოფლო-სამეურნეო მიწებს ეხება და არა საქართველოს მთელ მიწას, ამდენად, კერძო საკუთრებაში გადადის ის მიწა, რომელსაც დღეისათვის ფლობს გლეხი. აგრეთვე საგარაკო, კოლექტიური მებაღეობის ნაკვეთები, ხოლო დანარჩენი მიწა კი კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში რჩება.

მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა აუცილებლად მიმაჩნია, რადგან საბაზრო ეკონომიკის საფუძველს კერძო საკუთრება და კერძო მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს. ასეთ პირობებში კერძო საკუთრების დაშვება მიწაზე მიწის მესაკუთრეს მიწის რაციონალურად გამოყენების, საკუთარი მეურნეობის გამსხვილების საშუალებას აძლევს და, რაც მთავარია, მის საკუთრებაში არსებული მიწის დაგირავებით და მიღებული კრედიტით საჭირო მატერიალური საშუალებების შეძენის გარანტიას უქმნის, ეს კი მიწის დამუშავებისა და გარანტირებული მოსავლის მიღების აუცილებელი პირობაა.

ამ კანონის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესი სახელმწიფო კონტროლით წარიმართება და ამ საქმეში ნეგატიური მოვლენების მინიმუმამდე შემცირებას გამოიწვევს.

ოპონენტები აცხადებენ, მიწა კი გადავცეთ კერძო საკუთრებაში, მაგრამ ყიდვა-გაყიდვის გარეშეო, ასეთი კერძო საკუთრება არ შეიძლება არსებობდეს.

შიში იმისა, რომ საქართველოს მიწა გაიყიდება უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, გამორიცხულია, რადგან მიწის ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზეა დაშვებული, უცხო ქვეყნის მოქალაქეს მიწის მხოლოდ იჯარით აღება შეუძლია.

ამ შიშის საფუძველს კანონი მართლაც არ იძლევა. მაგრამ მთლიანად შეიძლება გამოირიცხოს, თუ საქართველოს პარლამენტი მოქალაქეობის შესახებ კანონს დაუბრუნდება და გააძლიერებს მოთხოვნას საქართველოს მოქალაქედ აღიარებისათვის.

კერძოდ, ასეთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა იყოს მიღებული ქართული ენის ცოდნა საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრებასთან ერთად.

ვახტანგ გურკაძე,

აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

განვიხილავთ კანონპროექტებს

პირველი კატეგორიის მიწების განკარგვის საკითხი ურთულესია

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის ავკარგიანობას დრო გვიჩვენებს. ერთი კი ფაქტია, ერისა და ქვეყნისათვის ამ მეტად დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხის გადაწყვეტაში შეცდომის დაშვების უფლება არავის, არც დღევანდელ ხელისუფლებას და არც დღევანდელ თაობას არა აქვს. ვინაიდან არ შეიძლება მიწის გათანაბრება ყიდვა-გაყიდვის ჩვეულებრივ ობიექტებთან, იგი ეროვნული სიმდიდრეა.

კანონის პროექტის სრულყოფის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი შენიშვნის გაკეთება:

1) კანონის პროექტში ვხვდებით ძნელად გასაგებ ადგილებსაც, რომელთა შესახებ გვექნება დღეს მსჯელობა, რამდენადაც მოცემული კანონი ეხება ფართო მასებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს. გამომდინარე აქედან იგი უნდა იყოს დაწერილი მოსახლეობისათვის გასაგები ენით, ე. ი საჭიროა მისი ტექსტის მაქსიმალურად, რასაკვირველია შეძლებისდაგვარად გამარტივება.

2) კანონპროექტის 2.1 მუხლით „ეს კანონი ვრცელდება, როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწის, ისე სოფლის მეურნეობას მიკუთვნებული სატყეო ნაკვეთების მიმართ“. ალბათ იგულისხმება საქართველოს მიწის კოდექსის 123-ე მუხლით გათვალისწინებული მიწები, კერძოდ — სახელმწიფო სატყეო სამეურნეო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის გამოუყენებელ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს მათ სარგებლობაში მყოფი სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან რაიონული და საქალაქო აღმასრულებელი ორგანიზაციების გადაწყვეტილებით აძლევენ მეურნეობებს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და მოქალაქეებს დროებით სარგებლობაში სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სატყეო მეურნეობის ინტერესებს. როგორც ვხედავთ, ამ მიწების გამოყენება სოფლის მეურნეობისათვის შეიძლება მხოლოდ დროებით, ვინაიდან ისინი განეკუთვნებიან სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს. ამდენად, ამ მიწებზე არ შეიძლება გავრცელდეს ეს კანონი, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო მიწებთან ერთად სატყეო მიწის ნაკვეთებიც იქცევა ყიდვა-გაყიდვის ობიექტად, ეს კი მიგვაჩნია დაუშვებლად.

3). 3.1 მუხლი ეხება რა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ცნებას, აცხადებს: „სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთად ითვლება ასევე წილი და სარგებლობის უფლებები საძოვრებზე, სათიბებზე, ტყეებზე, რომლებიც თემის, სოფლის ან სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ანდა სხვა ორგანიზაციების საკუთრებაში იმყოფება“. გაუგებარია ასევე წილი და სარგებლობის უფლებები. ეს სიტყვები ამოსაღებია ტექსტიდან, აგრეთვე ამოსაღებია სიტყვა ტყეებზე და მუხლის ტექსტი ჩამოყალიბდეს ასეთნაირად: „სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად ითვლება საძოვრები, სათიბები, რომლებიც თემის, სოფლის ან სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ანდა სხვა ორგანიზაციების საკუთრებაში იმყოფება“.

4). გასაგებია, რომ საადგილმამულო მეურნეობად ითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს და იძლევა კომლის ან იურიდიული პირის შემოსავლის ნახევარზე მეტს. (4.1 მუხლი). მაგრამ არასწორად მიმაჩნია 4.2 მუხლის ფორმულირება: „საადგილმამულო მეურნეობად აგრეთვე მიიჩნევა მებაღეობის და მებოსტნეობის ამხანაგობათა და სააგარაკე ნაკვეთები თუ მათგან მიღებული შემოსავალი შეადგენს ოჯახის შემოსავლის ნახევარზე მეტს“. პრაქტიკულად არ შეიძლება მებაღეობისა და მებოსტნეობის, აგრეთვე სააგარაკო ნაკვეთებიდან მიღებული მოსავალი იყოს შესაბამისი ოჯახების შემოსავლების ნახევარზე მეტი, ამიტომ ასეთი მოთხოვნის წაყენება აღნიშნული ნაკვეთებისათვის არასწორად მიგვაჩნია.

5). კანონპროექტში მითითებული საკომლო მეურნეობის უფროსის (4.5 მუხლი) მაგიერ უკეთესი იქნებოდა გვეხმარა საკომლო მეურნეობის მეთაური, რომელსაც გარკვეული ტრადიციები გააჩნია ჩვენთან.

6) მე-5 მუხლის სათაურია „სოფლის მეურნეობის ცნება“. თავად მუხლის შინაარსიდან გამომდინარე უკეთესი იქნება მისი სათაური იყოს „სოფლის მეურნის ცნება“.

7). კანონპროექტის 13.2 მუხლი ეხება საკითხს, თუ რა ჩაითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისებად. ამ მუხლის ა-პუნქტში წერია: „ნასყიდობა ან ყველა სხვა გარიგება, რომელიც ეკონომიკურად უთანაბრდება ყიდვა-გაყიდვას“, ნასყიდობის შემდეგ დაამატოს „გაჩუქება“, თუმცა იგი იგულისხმება ყველ გარიგებებში, მაგრამ საჭიროდ გვაჩნია მოქალაქემ გარკვე იცოდეს, რომ მას აქვს უფ არა მარტო გაყიდოს მისი მ ნაკვეთი, არამედ გაჩუქოს კ ვაც იგი.

8). 13.3 მუხლის ა-პუნქტით წის ნაკვეთის გასხვისებას ბრდება „მიწის ნაკვეთზე საკ საკუთრების წილის დათმობ ვისთვის ან მისი გასხვისება“. ნიშნული მოქმედებები, ეფექ კი არ უთანაბრდება მიწის ვეთის გასხვისებას, არამედ რედ ასეთია.

9). კანონპროექტის 16.4 მ ლით „თუ გაცემულ ნებართ არ ეთანხმება ნებართვის გამ ორგანოს ზემდგომი ორგანო, შინ მას ასევე ერთი თვის ვა ში შეუძლია მიმართოს სასამა ლოს ნებართვის შეცვლის ან უქმების მოთხოვნით“. სწორი იქნება ასეთ შემთხვევ ში ზემდგომი ორგანოს ქვემდგომი ორგანოს მიერ მი ნაკვეთის გასხვისების თაობ გაცემული ნებართვის შეცვლა გაუქმება, ამის შესახებ სასამა ლოში მიმართვის გარეშე.

10). გაუგებარია კანონის პ ექტის 18.1 მუხლის ა პუნქ შინაარსი, კერძოდ, მიწის ნაკვე გასხვისების შესახებ ნებარ გაცემაზე უარი შეიძლება ით თუ სივრცობრივად დაკავშირებული მიწის ნაკვ გასხვისების შედეგად პატარავ ბა ხუთ ჰექტარზე ნაკლებად. ლან გამომდინარე გამოდის, დღევანდელი მდგომარეობით, ცა მოქალაქეებს გააჩნიათ ყველ ზე მაქსიმუმ 1,25 ჰექტარი წის ნაკვეთი, მათ ამ ნაკვეთებ გასხვისების შესაძლებლობა ექნებათ.

11). კანონის პროექტში არ არაფერია ნათქვამი გახმაურებ ლი 21 კილომეტრიანი სასაზღვ ზონის შესახებ და ამ ზონაში წების კერძო საკუთრებაში გად ცემის აკრძალვის თაობაზე.

აკაკი ლაგარტყა

თბილისის სახელმწიფო უნ რსიტეტის სამოქალაქო სამ ლის კათედრის პროფესო იურიდიულ მეცნიერებათა დ ქტორი.

...საქართველო მართლა გაიყიდება?

(დასასრული)

— მიგაჩნიათ თუ არა ეს კანონპროექტი სრულყოფილად?

— ამბობენ, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო.

— მაშინ, ხომ ვერ გვეტყოდით, რა არის კანონპროექტში დადებითი და რა — უარყოფითი?

— სრულყოფილი კანონპროექტი, ალბათ, არასოდეს მომზადებულა. ყველა პროექტს, მათ შორის, წარმოდგენილსაც, აქვთ თავისი ნაკლი და ღირსება. მე მიმაჩნია, რომ დადებითია თვით ფაქტი, ამგვარი პროექტის შექმნისა, მხედველობაში მაქვს მიწის საკუთრების უფლების სამართლებრივი მოწესრიგება. გადაწყდება თუ არა დადებითად მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხი, ეს პოლიტიკური ასპექტია, წარმოადგენს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივას და სცილდება იურისტთა კომპეტენციის სფეროს, მაგრამ საკითხს აქვს იურიდიული მხარეც, და სადავო არ უნდა იყოს, რომ მიწის საკუთრებითი ურთიერთობანი აუცილებლად საჭიროებდნენ სამართლებრივ რეგულირებას. წარმოდგენილი კანონპროექტი ქართულ კანონმდებლობაში ხარვეზის შევსებას ემსახურება, რაც უდავოდ აუცილებელი და დროულია.

რა თქმა უნდა, კანონპროექტი არ არის დაზღვეული ნაკლოვანებისაგან, ვთქვათ, შვილის მიერ უპირატესი შესყიდვის საკითხი შესაძლოა უფრო სრულად მოწესრიგებულიყო, ნაკლებად შეზღუდულიყო მემკვიდრეთა უფლებები (მხედველობაში მაქვს მემკვიდრეების შორის საკომლო მეურნეობის გაყოფის აკრძალვა). არის სხვა სამართლებრივი ხასიათის მოსაზრებები და შენიშვნებიც, მაგრამ ეს არ არის არსებითი კანონპროექტის ღირსებებთან შედარებით. რიგი საკითხებისა ალბათ, უფრო დაიხვეწება პარლამენტში განხილვის პროცესში, და კანონი ალბათ, უფრო სრულყოფილი იქნება, ვიდრე პროექტია.

— ცნობილია, რომ ბევრ ქვეყანაში, თუნდაც ისრაელში, მიწა მხოლოდ სახელმწიფოს კუთვნილებაა და სხვა პირებზე მხოლოდ იჯარით გაიცემა. შესაძლებლად მიიჩნევდით თუ არა ჩვენთან საკითხის ამგვარ გადაწყვეტას? მით უმეტეს, რომ იგი საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, დაუმუშავებლობის შემთხვევაში, უკან დაიბრუნოს მიწის ნაკვეთი.

— როგორც მოგახსენეთ, მიწის სახელმწიფო საკუთრებად დატოვების, თუ კერძო საკუთრებად გადაცემის საკითხის გადაწყვეტა პარლამენტის პრეროგატივაა. პრინციპულად, მიწის სახელმწიფო საკუთრებად დატოვება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ასეც ხდება ყველა სხვა კატეგორიის მიწებთან მიმართებაში. აღნიშნული კანონი აწესრიგებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების საკითხებს. მაგრამ როგორ უნდა აუხსნათ ქართველ გლეხს, რომელმაც მიწა უკვე საკუთრებად დაიგულა, რომ სახელმწიფო უკან ართმევს პრივატიზებულ მიწებს? სხვათა შორის, თქვენს მიერ შემოთავაზებული პრინციპით წყდება საკითხი უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით, მათ მიწა გადაეცემათ არა კერძო საკუთრებად, არამედ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო იჯარის წესით.

რაც შეეხება მიწის დაუმუშავებლობის შემთხვევებს, ეს საკითხი მოწესრიგებულია პროექტის მე-11 და 21-ე მუხლებით, რომელთა შესაბამისად, თუ პირი თავს დაანებებს მეურნეობის გაძღოლას მიწის ყიდვიდან ან უსასყიდლოდ მიღებიდან 10 წლის განმავლობაში, ყოფილ მესაკუთრეს შეუძლია გამოისყიდოს მიწა, ხოლო თუ ნაკვეთი არ დამუშავდა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ორგანო მას სათანადო აქტით მესაკუთრის ორჯერ გაფრთხილების შემდგომ იძულებით გაყიდის. ამასთან, მიწა სხვა პირზე გაიყიდება მხოლოდ მაშინ, თუ ნაკვეთის მომიჯნავე არ გამოთქვამს მისი შეძენის სურვილს, რაც, უდავოდ, მეურნეობის გამსხვილებისაკენ მიმართული ღონისძიებაა.

— ამ კანონის ოპონენტები ამბობენ, რომ ისინი არ არიან მიწის კერძო საკუთრების მოწინააღმდეგენი, ისინი მხოლოდ მიწის გაყიდვის წინააღმდეგნი არიან. რას გვეტყოდით ამის თაობაზე?

— საკუთრების უფლება გულისხმობს მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლების ერთდროულად არსებობას. ე. ი. თუ პირი ქონების მესაკუთრეა, მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს მისი განკარგვის (გასხვისების, გაყიდვის, გაცვლის, გაჩუქების) უფლება. სხვანაირად, საკუთრების არსებობა გამორიცხულია. ე. ი. ან არსებობს მიწაზე კერძო საკუთრება, და ამდენად, შესაძლებელია, მისი გასხვისება, ანდა მიწაზე კერძო საკუთრება არ არსებობს.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ კანონის მიზანია მიწის ნაკვეთების დაქუცმაცების, არარაციონალური გამოყენების თავიდან აცილება. რა გზით მოხდება ამის მიღწევა?

— მიწის დაქუცმაცების თავიდან აცილების გარანტიაა პროექტის მე-18 მუხლის მეორე პუნქტის დებულება, რომ არ დაიშვება გასხვისების შედეგად სივრცობრივად დაკავშირებული მიწის ნაკვეთის დაპატარავება 5 ჰა-ზე ნაკლებად. ამავე მიზანს ემსახურება მე-20 მუხლი, სადაც ლაპარაკია საადგილმამულო მეურნეობის გაყოფის აკრძალვაზე. ე. ი. ფაქტობრივად, პირი ვერ გაყიდის მთლიანი ნაკვეთის ნაწილს, თუ მას მფლობელობაში რჩება 5 ჰა-ზე ნაკლები და ასევე ვერ გაასხვისებს მიწის ერთ-ერთ ნაკვეთს, თუ ეს უკანასკნელი სხვა ნაკვეთებთან ერთობლივად იძლევა მისი მეურნეობის შემოსავლის ნახევარზე მეტს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაქუცმაცებას თავიდან აგვაცილებს აგრეთვე, იძულებითი გაყიდვისას მომიჯნავისათვის მიწის შესყიდვის უპირატესი უფლების მინიჭება.

— და, ბოლოს, დავუბრუნდეთ საკითხს, საიდანაც დავიწყეთ. როგორც თქვენ აღნიშნეთ, პროექტზე მუშაობა დასრულდა შარშან, მაისში და მისი საჯარო განხილვა კი ეს-ეს არის დაიწყო.

ამბობენ, პარლამენტი პროექტის განხილვას ამ დღეებში შეუდგებაო. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა განხილვის დაწყების ვადამ ცოტა მაინც გადაინაცვლოს, რომ მის თაობაზე ხათქმელი ვისაც სურს, ბარემ თქვას. მაშინ კანონპროექტზე ამდენ ჭორებსა და მითქმა-მოთქმას, დღეს რომ არის, ბოლო მოეღება. თორემ რალას არ ამბობენ და წერენ კიდეც... რა გაეწყობა, ხალხს ენას ვერ გამოუკვანძავ და ვერც საწერ-კალამს წაართმევ. ალბათ, თქვენც გაგიგონიათ. მავანნი და მავანნი ხმამაღლა გაიძახიან, თუ ამ კანონს მივიღებთ. საქართველო გაიყიდებაო. თქვენ რას იტყოდით, ამ კანონით საქართველო მართლა გაიყიდება?

— თუ გულისხმობენ, რომ ყველა ის პირი, ვინც იმუშავებს მიწების მართვის ერთიან სახელმწიფო სამსახურში, იქნება არაკეთილსინდისიერი, არ დაიცავს ამ კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვებს, გასხვისებაზე, გასცემს სპეციალურ ნებართვებს მხოლოდ უკანონოდ... მაშინ დავღუპულვართ, და რაღაში გვჭირდება ან კანონი, ან მიწა? თორემ კანონი ჯერ არ არსებობს და მიწა ფაქტობრივად იყიდება.

მე მიმაჩნია, რომ ეს კანონი სწორედ იმიტომ არის აუცილებელი, საქართველო არ გაიყიდოს!

ესაუბრა
როლანდ გასილაშვილი.

კარიკატურისტის თვალით



— ხომ გეუბნებოდი, მთავრობა უკვე ჰყიდის ქართულ მიწებს!

მხატვარი ვახტანგ კუცია.

აუცილებელი კანონი

გამოქვეყნებული კანონ პროექტი სასოფლო-სამეურ მიწის საკუთრების შესახებ მაჩნია საბაზრო ეკონომი განვითარებისაკენ მიმავალ ქვეყნის აუცილებელ კანონ მასში დასმული დებულებ მისაღები და მხარდასაჭერია.

თუ დღევანდელ ფაქტობრ მდგომარეობას გავითვალის ნებთ (მხედველობაში მა 1992 წლიდან დაწყებული საკ რმიდამო მიწის ნაკვეთის სების პროცესი), ეს კანონი ცილებელია და შეიძლება ვას, დაგვიანებულიც. დღეს ჩვ რესპუბლიკაში გვყავს მილიონ ოჯახი, რომელმაც მიიღო მიწ ამა თუ იმ ოდენობის ნაკვეთ გარდაბნის რაიონის პრაქტ აჩვენებს, რომ გადაცემული წების 90 პროცენტზე მეტი უმუშავებელია. ანალიზი ცხად ყოფს, რომ მიწების დაუმუშ ვებლობის ძირითადი მიზეზია სახლეობის ურწმუნობა, რომ მიწა მას დარჩება საკუთრებაში ამიტომ გულით არ ეკიდება მუშაოს, არც გადასახადს იხდ არადა ეს გადასახადი რესპ ლიკური და ადგილობრივი უჯეტის შევსების ერთ-ერ ძირითადი წყაროა.

მთავარი ღირსება ის არ რომ საქართველოს მოქალაქე უკანონდებათ თავიანთ სარგებლ ბაში არსებული საკარმიდამ საბაღე, საბოსტნე, საგარ ნაკვეთები და, ყოველგვარი სის დაცვის, სახელმწიფო ტროლის შემდეგ ყიდვა-გაყ ვის საგანი ხდება.

ოლეგ ნიკოლეიშვილ

გარდაბნის რაიონის გამგ ბელი.

მაქვს ერთი შენიშვნა

კანონპროექტმა მიწის საკუთრების შესახებ დიდი დაინტერესება გამოიწვია სოფლის მოსახლეობაში. თითქმის ყველა სოფელი მოვიარე, შევხვდი ადგილობრივ მოსახლეობას, გლეხებს, ვისაუბრეთ სხვადასხვა პრობლემებზე, რომლებიც, მოგეხსენებათ, დღეს ბევრი გვაქვს, მაგრამ მიწის შესახებ საკითხი ერთ-ერთი ძირითადია, იგი სათუთ მოპყრობას მოითხოვს. ჩვენი მოსახლეობა ინფორმირებული იყო, რომ კანონი მზადდებოდა. ამიტომ მის გამოქვეყნებას პრესაში ხობელები დიდი მოწონებით შევხვდით. მიწას, ბოლოსდაბოლოს, მართლა გამოუჩნდება პატრონი, დარწმუნდებიან, რომ მიწის დამუშავების შემდეგ მიწას აღარავინ აღარ წაართმევს, მისი იქნება და მისი ოჯახის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროც გახდება.

ხობში მოსახლეობას 9.000 ჰექტრამდე შეევსო საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. სახნავი სახელმწიფო სექტორში 2.100 ჰექტარამდეა, რომელიც სახელმწიფო-კოოპერაციო [illegible] რნიობას [illegible]

[illegible] ერთი შენიშვნა: [illegible] რო [illegible] ნონში განიმარ [illegible] მემკვიდრ [illegible] ღებული წის ნაკვეთების კანონიერ აგრეთვე ახალი მიწები სების შემთხვევაში, რა შეღა თები ეკუთვნის მეურნეს, რო გორ გადაეცემა ეს მიწა მემკ დროებით, როგორი გადასახა დაწესდება ასეთ შემთხვევაში.

ანგული მიქა

ხობის რაიონის გამგებე

საკვები პირუტყვსაც უნდა!

სიმართლე გითხრათ, — მე უფრო საგანგაშო ვითარება მეხატებოდა მიწების გაყიდვის გამო. თურმე ჩვენი სავარგულების მხოლოდ 10-12 პროცენტი გადავა კერძო საკუთრებაში. ეს შეიძლება აიტანოს ნებისმიერმა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომაც.

საკითხავი აქ სხვაა: — ვის დარჩება ის 90 პროცენტი? სახელმწიფოს? ისევ საზოგადოებრივი მეურნეობების გასაფართოებლად თუ შესანარჩუნებლად, საიდანაც ძველებურად ხვეტენ ქონებას მაქანნი და მავანნი? თვალებს ნუ დავხუჭავთ, — ეს მოვლენები კვლავ გრძელდება.

და კიდევ, — კომუნისტების დროსაც და ახლაც ჰირდა და ჰქონ [illegible] ობების გამოყოფა საძოვრებისა და სათიბ [illegible] ისთვის. მაშინ რაც, როგორც იტყვიან, მუქთად მოდიოდა, — 15 კაპიკად. დღ ყველაფერი გაძვირდა. ბევრი სოფელი ვიცი, სად ხალხს საქონელი შიმშილით ეხოცება, საკვები არ აქვთ... და ამ დროს იგივე მეურნეობები თივ თუ ჩალას მამასისხლად ჰყიდიან.

განა არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ ნე ბისმიერ სოფელს საძოვარიც გამოეყოს საკმ რაო [illegible] სათიბიც? ამჟამად საქართველო ში მომავალი პირუტყვი, ადამიანებს სარჩო უჩნდათ. იმედ ჩაკვდათ. მოდით, ამ იმედს ჩავკლავთ. ცხვარ-ძროხას თივა-ნამჯა მოვ და [illegible] ჩვენი მოსახლეობაც გადავარჩინოთ.

ილია სულიაშვილ

გურჯაანის რაიო

განვიხილავთ კანონპროექტებს

მიწის რეფორმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპარლამენტმა განიხილა საქართველოში ჩატარებული არჩევნები

ბენილუქსის ქვეყნებში და ევროკავშირთან საქართველოს საელჩოს პრესსამსახურმა საქინფორმს აცნობა, რომ 20 თებერვალს ევროპარლამენტში გაიმართა ამიერკავკასიის კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს 1995 წელს საქართველოსა და აზერბაიჯანში ჩატარებული არჩევნები.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ არჩევნებს მეთვალყურეობდნენ ევროპარლამენტის დელეგაციები. კერძოდ, საქართველოში მყოფ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ევროპარლამენტის ამიერკავკასიის კომისიის თავმჯდომარე ა. თრაკატელისი.

ბატონმა ა. თრაკატელისმა თავის დეტალურ ინფორმაციაში მაღალი შეფასება მისცა საქართველოში გამართულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს, მან დადებითად მოიხსენია თბილისსა და რაიონებში გამართული შეხვედრები, კეთილგანწყობილად ისაუბრა ახალი პარლამენტის ხელმძღვანელობაზე, მის შემადგენლობასა და, საერთოდ, პარლამენტში არსებულ განწყობილებაზე. აღნიშნა, რომ ევროკავშირმა უნდა გააძლიეროს მუშაობა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარების თვალსაზრისით. ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობას, რაც საორიენტაციოდ ამა წლის 22 აპრილისათვის არის დაგეგმილი.

ანალოგიური პოზიტიური ინფორმაციები გააკეთეს სხდომის სხვა მონაწილეებმაც. კერძოდ, ინგლისელმა პარლამენტარმა კ. ნიდლმა განაცხადა, რომ საქართველოში ჩატარებული არჩევნები მისაბაძ მაგალითად გამოდგებოდა ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნისთვისაც. ევროკომისიის წარმომადგენლის დ. რინგროუზის შეფასებით ამიერკავკასიაში აშკარაა პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების ნიშნები. ფართოვდება რეგიონალური თანამშრომლობა, რასაც ხელს უწყობს ევროკავშირის დახმარების პროგრამებიც. მან აღნიშნა, რომ ევროკავშირი, ძირითადად ყურადღებას მიაპყრობს რა ამ რეგიონალურ თანამშრომლობას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამი რესპუბლიკის პრეზიდენტთა მოსალოდნელ ვიზიტებს ბრიუსელში პარტნიორების ხელშეკრულების ხელმოსაწერად.

საქართველოს ელჩმა ზურაბ აბაშიძემ გააკეთა ინფორმაცია საქართველოში დღეისათვის არსებული ვითარების შესახებ. პარლამენტარები დაინტერესდნენ აფხაზეთის საკითხითა და ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემატიკით.

საქინფორმი.

რუსეთის პრესის სარკეში

საქართველოს შეუძლია იოლად გაძლოს რუსული „ხიშტების გარეშე?“

დსთ-ს დაშლა საჩუქარია ნაციონალ-რადიკალებისათვის

დეპუტატები მართლმსაჯულების წინაშე ყველას თანასწორნი არიან

სააგენტო „პოსტფაქტუმმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომელშიც კომენტარს უკეთებენ ედუარდ შევარდნაძის დადებით შეფასებას პაველ გრაჩოვის პოზიციისა, რომელიც მან დაიკავა ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მიმართ. როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ აფხაზეთის ხელისუფლება უნდა წავიდეს დათმობებზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთთან ერთიანი სახელმწიფოს აღიარებით. მის ფრაზაში — „არ შეიძლება იქ დიდხანს არსებობდეს ხელისუფლება რუსული ხიშტების დახმარებით“ — გაისმა მუქარა სეპარატისტებისადმი, **რომელთა ბედი სამშვიდობო ძალების შესაძლო გაყვანის შემდეგ „საქართველოს საშინაო საქმე“ გახდება.**

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“ განიხილავს წინასაარჩევნო ბრძოლის პერიპეტიებს და თვლის, რომ ის ადამიანები, რომლებიც პრეზიდენტის ნდობით სარგებლობენ, ძნელად თუ იქნებიან მისი საიმედო დასაყრდენი საარჩევნო კამპანიაში. ამ დასკვნას საფუძვლად უდევს ის, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 11 წარმომადგენლიდან რეგიონებში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სათათბირო მანდატებისათვის დეკემბრის შეჯიბრებაში, მხოლოდ ერთმა მოიპოვა წარმატება.

უკვე ახლა მოსკოვის გაზეთები ცდილობენ გაითვალონ **მემარცხენე ძალების ერთიანი კანდიდატის — ელცინის რეალური მოქიშპის ელექტორატი.** სურათი ასეთია: რუცკოის „დერჟავა“ მისცემს ორნახევარ პროცენტზე მეტ ხმას; რუსეთის თემების კონგრესი (ლებედი-სკოკოვი) — 4,29 პროცენტს, ანპილოვის კომუნისტები — 4,59 პროცენტს; ზიუგანოვის კომუნისტები — 22,31 პროცენტს; აგრარიკოსები — 3,79 პროცენტს; გოვორუხინის ბლოკი — 1 პროცენტს. ეს შეადგენს **მემარცხენე ძალების ელექტორატის 40 პროცენტზე მეტს, რაც სოლიდური განაცხადია.**

სააგენტო **„ინტერფაქსი“** იტყობინება, რომ **კომუნისტებისა და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა მოითხოვეს გაუქმდეს დსთ-ს შექმნის შესახებ შეთანხმება და პასუხისგებაში მიეცნენ „თანამეგობრობის ინიციატორები.“** ამ მოთხოვნას კომენტარს უკეთებს **„მოსკოვსკიე ნოვოსტი“** და მოჰყავს იაკოვლევის აზრი, რომელიც შეუძლებლად თვლის ხელშეკრულების დარღვევას საპარლამენტო კომისიის ბელორუსი თავმჯდომარე კრავჩენკო. უფრო კონკრეტული იყო, როცა ბელოვეჟის შეთანხმების დენონსაციის მოთხოვნას **„ნაციონალ-რადიკალთათვის მირთმეული საჩუქარი“** უწოდა.

იურისტ ალექსანდრე კოვალიოვს არარეალურად მიაჩნია ზიუგანოველთა განზრახვა, რომ ხელისუფლებაში მისვლის შემთხვევაში კარდინალურად შეცვალონ კონსტიტუცია, ჟურნალისტებთან საუბრისას მან მოიყვანა შემდეგი საბუთები: ცენტრის დიქტატურას არ მიიღებენ რეგიონები, ვინაიდან არ მოინდომებენ უკვე მოპოვებულის დათმობას; გარდა ამისა, თვით კონსტიტუცია ქმნის რადიკალური ცენტრისტული თავდასხმებისაგან დაცვის გარანტიას, რამდენადაც მის ნებისმიერ შეცვლას მხარი უნდა დაუჭიროს ფედერაციის სუბიექტთა ორმა მესამედმა.

„ნეზავისიმაია გაზეტას“ მიაჩნია, რომ „ელცინი აჩქარებს დროს“, ვინაიდან **„უნდა ყველა პრობლემა უცებ გადაწყვიტოს — გადაიხადოს ხელფასები და პენსიები, გახსნას ჩეჩნეთის კვანძი, დაამშვიდოს ტაჯიკეთი“.** გაზეთი აკეთებს პოპულარულ დასკვნას, რომ ასეთი აჩქარება წინასაარჩევნო „ქულების მოპოვებით“ აიხსნება. ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ თუ დასახელებული პრობლემები გადაწყდება — მნიშვნელობა აღარ აქვს, რა მიზეზით მოხდება ეს.

თუმცა **„იზვესტია“** არ ეთანხმება პრეზიდენტის ასეთ „გულუხვობას“. თუნდაც წინასწარ დაწესებულის გადახდის ნაწილში და შეგვახსენებს ჭეშმარიტებას, რომ ფული ჰაერიდან როდი იშვება. იანვარში გასავალმა ორჯერ გადააჭარბა შემოსავალს. **აიტანს კი 96-ის ბიუჯეტი წინასაარჩევნო კამპანიას?** — სვამს გაზეთი თითქმის რიტორიკულ კითხვას.

ამასობაში, როგორც **„ეკონომიკა ი ჟიზნი“** („ეკონომიჩესკაია გაზეტას“ დანართი) წერს, **„რეფორმა რუსეთში ინერციული სცენარით ვითარდება.** ზრდის ზოგიერთი წერტილი მიღწეულია საერთო საბანკო კრიზისის, ურთიერთგადაუხდელობისა და საკმარისი ინვესტიციების არარსებობის ფონზე“.

„იზვესტიის“ ინფორმაციით რუსეთის პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს გაუგზავნა შეკითხვა, რომლის თანახმადაც **„დეპუტატის ხელშეუხებლობას გონივრული საზღვრები უნდა ჰქონდეს“.** სასამართლომ განიხილა შეკითხვა და გადაწყვიტა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი წონასწორობის დაცვას უფლებებსა და მოვალეობებში, როცა **„დეპუტატები უზრუნველყოფენ თავიანთ თავს ადმინისტრაციული ხელისუფლების თვითნებობისაგან, მაგრამ მართლმსაჯულების წინაშე ყველას თანაბარი იქნებიან“.** მაგრამ, თუ როგორ განხორციელდება ყველა ეს სამართლიანი მოთხოვნა — ამას, მაინც, თვითონ კანონმდებლები გადაწყვეტენ.

ყოველკვირეული **„ზა რუბეჟომ“** ჩეჩნეთის კრიზისთან დაკავშირებით მოჰყავს იაპონიის გაზეთ **„სანკეი სიმბუნის“** გამონათქვამი: „მოსკოვი შეგნებულად ინარჩუნებს ჩეჩნეთის კონფლიქტის კერას, ცდილობს რა, გარემოებისდა მიხედვით, გამოიყენოს იგი როგორც საბაბი, რომ საერთოდ უარი თქვას არჩევნებზე“.

იქვეა ციტირებული **„ნიუ-იორკ ტაიმსი“**: იშვიათი ავადმყოფობის შეტევის გამო თითქმის ორთვიანი არყოფნის შემდეგ დაბრუნების მომენტიდან მიღებული პრაქტიკულად ყოველი გადაწყვეტილება მოწმობს, რომ ელცინს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს ხელმეორედ არჩევას და **უმალ თავის რეფორმისტულ მთავრობას შეცვლის, ვიდრე დაიცავს“.**

და, ბოლოს, მერმა ლუჟკოვმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა უცხოურ და არაფუნქციონალურ რეკლამას მოსკოვის ქუჩებში. როგორც **„ნედელია“** იუწყება, მან მოითხოვა მკაცრი კონტროლი დააწესონ რეკლამაზე **მისი შინაარსის, მისაწვდომობის, მართლზომიერების და ესთეტიკური არასრულფასოვნების გათვალისწინებით,** და თუ რუსეთის ყოფაში საქმე უკვე ესთეტიკამდე მივიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მალე მოსკოველთა ცხოვრება, უფრო მხიარული თუ არა, უფრო ლამაზი მაინც გახდება.

იური მოსეშვილი.

ისტორია

ტროაში მოხვედრა დიდი პატივი და ბედნიერებაა, ოღონდ იშვიათი ბედნიერება, რადგან ექსპედიციის ხელმძღვანელი საგულდაგულოდ არჩევს თითოეულ წევრს.

1993 წლის ნოემბერში, როგორც გერმანიის სასწავლო-აკადემიური გაცვლის სამსახურის სტიპენდიანტი, სამეცნიერო მივლინებით გავემგზავრე გერმანიაში, ტიუბინგენის უნივერსიტეტის უძველესი და ძველი ისტორიის ინსტიტუტში, სადაც ნახევარი წლის მანძილზე ვმუშაობდი პროფესორ მანფრედ კორფმანის ხელმძღვანელობით, რომელიც არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს ტროაში. ამ უნივერსიტეტის ხსენებულ ინსტიტუტში ტარდება სხვადასხვა სახის სამუშაოები, პუბლიკაციებისათვის მზადდება არქეოლოგიური კამპანიის მანძილზე მოპოვებული მასალები... გერმანიიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1994 წლის აგვისტოში, პროფესორ კორფმანისაგან მივიღე მიწვევა ტროას გათხრებზე მონაწილეობის მისაღებად 1995 წლის ზაფხულისათვის. ჩვეულებისამებრ, ამ ექსპედიციაში ამა თუ იმ პიროვნების მიწვევა ერთი წლით ადრე იგეგმება.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და, დიდი მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო ყველა ის ადამიანი, ვინც თავის დროზე გერმანიაში, ხოლო შემდგომ, ტროაში გამგზავრებაში შემიწყვეს ხელი, ესენი არიან აკადემიკოსები: ანდრია აფაქიძე, ოთარ ჯაფარიძე, რაულ კუპრავა; პროფესორები: კიაზო ფიცხელაური და გურამ ლორთქიფანიძე; ავიაკომპანია „ტრანს ეირ ჯორჯიას“ დირექტორი დემურ ლელაძე და ავიაკომპანია „ორბის“ პრეზიდენტი ვასილ ჯამბაზიშვილი.

ტროა

შარშან ზაფხულს ამ ლეგენდარული ქალაქის გათხრებზე პირველად მიიწვიეს ქართველი არქეოლოგი

ტროა მდებარეობს თურქეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დარდანელის სრუტის სამხრეთით, ეგეოსის ზღვიდან 8-6 კილომეტრის დაშორებით, თანამედროვე სოფელ ტევფიკიეში. სტამბოლიდან ტროამდე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ავტობუსით 6-7 საათის სავალი გზაა.

ცნობილია, რომ ტროას აღმომჩენად ითვლება გერმანელი არქეოლოგი ჰაინრიხ შლიმანი (სამართლიანობა მოითხოვს, რომ ტროას აღმომჩენად ასევე დავასახელოთ ინგლისელი ფრანკ კალვერტი, რომელმაც შლიმანამდე ჩაატარა მცირე გათხრები ჰისარლიკის ბორცვზე).

1988 წლიდან ტროაში არქეოლოგიური გათხრები განაახლა პროფესორმა მანფრედ კორფმანმა. ექსპედიციის თანახელმძღვანელია პროფესორი ბრაიან როუზი, ამერიკის ცინცინატის უნივერსიტეტიდან (ეს უნივერსიტეტი 30-იან წლებში კარლ ბლეგენის ხელმძღვანელობით აწარმოებდა გათხრებს ტროაში). ბრაიან როუზი ხელმძღვანელობს არქეოლოგების ჯგუფს ცინცინატის უნივერსიტეტიდან.

ტროა ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ქალაქია, გამოვლენილია ცხრა კულტურული ფენა (I-VII ფენები ბრინჯაოს სხვადასხვა ხანას განეკუთვნებიან, VIII — კლასიკურ, ხოლო IX — რომაულ ეპოქას). ტროას ბორცვზე ადამიანი პირველად ძვ. წ. 30-ე საუკუნეში დასახლდა და მასზე ცხოვრება ახ. წ. 500 წლამდე გაგრძელდა, იყო პერიოდები, როდესაც ტროა წყვეტდა არსებობას, განსაკუთრებით გამანადგურებელი ომების შემდეგ. მაგრამ აქ ცხოვრება კვლავ ახლდებოდა. ცხადია, ტროას მოსახლეობა სხვადასხვა დროს განსხვავებული სიდიდის ფართობზე ცხოვრობდა. უკვე რამდენიმე წელიწადია ტროას ბორცვის გარდა ითხრება ქვედა ქალაქიც, რომლის გამოკვლევასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტროას ისტორიის სწორად გაგებისათვის.

შარშან ტროაში მუშაობდა სხვადასხვა დარგის 98 სპეციალისტი მსოფლიოს 12 ქვეყნიდან, გათხრებზე დასაქმებული იყო 100 მუშა. საურთიერთობო და სამუშაო ენები იყო თურქული, გერმანული და ინგლისური. სამუშაო დღე გამთხრელებისათვის დილის 6 საათზე იწყებოდა, ხოლო მასალებზე მომუშავე სპეციალისტებისათვის 6-30-ზე და საღამოს 18 საათამდე გრძელდებოდა. ყველა დიდი გულმოდგინებით ასრულებდა ექსპედიციის წესდებით განსაზღვრულ მოვალეობებს.

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად ტროაში დიდი სამუშაოები ტარდებოდა მოპოვებული მასალების შესასწავლად. მეცნიერებისა და სტუდენტების ერთი ნაწილი სწორედ ამ მიმართულებით მუშაობდა. ორი ჯგუფიდან ერთი სწავლობდა ბრინჯაოს ხანის მონაპოვრებს, მეორე — ანტიკური ხანისას. მე ვმუშაობდი ბრინჯაოს ხანის მასალების, კერძოდ ტროა VI და ტროა VII მასალების შესწავლაზე. დასაწყისში ვამუშავებდი ტროას ქვედა ქალაქში მოპოვებულ კერამიკულ მასალას. შემდეგ კი მიმაგრებული ვიყავი ტროა VI დროინდელ ერთ-ერთ არეალზე და ჩემი ამოცანა იყო იქ მოპოვებული კერამიკული მასალების სწორი ინტერპრეტაცია და ტროა VI სათანადო ფაზების მიხედვით დათარიღება. ჩვენი ჯგუფის წევრები დროდადრო არქეოლოგიურ გათხრებზეც გადიოდნენ. მე რამდენჯერმე ვიყავი ტროასა და კუმთეფეს გათხრებზე. ბოლო ორი კვირა კი ავსტრიელ მეცნიერთან, დოქტორ პეტერ იაბლონკასთან ერთად ვმუშაობდი ტროას ქვედა ქალაქის გათხრებზე, რაც ჩემთვის, როგორც პროფესიონალი არქეოლოგისათვის, ძალზე მნიშვნელოვანი იყო. (კუმთეფე მდებარეობს ტროას მახლობლად, სოფელ კუმკალეში, ეგეოსის ზღვიდან ორი თუ სამი კილომეტრის დაშორებით. იგი ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარია).

მეორე ჯგუფი ძირითადად წინარეანტიკური და ანტიკური ხანის მასალების შესწავლაზე მუშაობდა. ისინი ამუშავებდნენ პროტოგეომეტრიულ და არქაულ კერამიკას, ამფორებს, მინის ნაწარმს, ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ტერაკოტებსა და ნუმიზმატიკურ მასალას.

შარშან ტროაში ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩენები იყო. მაგალითად, გათხრების შედეგად ბევრი რამ გაირკვა ტროა I და ტროა II სწორი დათარიღებისა და ურთიერთმიმართების საკითხში.

ფართო ხასიათის სამუშაოები ჩაატარეს რესტავრატორებმაც. ისინი მუშაობდნენ ტროა VI „ი“ მეგარონის აღმოსავლეთი ნაწილის აღდგენაზე. შლიმანის გათხრებში გამაგრებული იქნა დიდი მეგარონი — „სახლი 102“. მიმდინარეობდა ტროა VI სამხრეთი კარის კონსერვაციაც.

არქეოლოგიური მასალების დაწვრილებითმა ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ტროიანური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან და კავკასიასთან (მაიკოპი, კოლხეთი) საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო ადრებრინჯაოსა (ძვ. წ. III ათასწლეული) და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრული და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი). ე. ი. კონტაქტები უნდა ვეძებოთ ტროა I, II და ტროა VII. ძვ. წ. II ათასწლეულის მანძილზე ასეთი კავშირები არ ჩანს, ამდენად, ტროა VI და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ერთმანეთთან დაკავშირებული არ ჩანან. ამან უნდა შეცვალოს ქართულ ისტორიულ და არქეოლოგიურ მეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრება კავკასიური და ტროიანული სამყაროების სიახლოვის შესახებ ტროა VI დროს. ბევრია საკვლევი ბრინჯაოს მეტალურგიის, კერამიკისა და ნახევრადძვირფასი ქვების (სარდიონი, ლაპისლაზული) მძივსამკაულების შესწავლის თვალსაზრისით. ამ მასალებში ბევრი პარალელის მიკვლევა შეიძლება.

ტროაში ფართო ხასიათის სამუშაოებს აწარმოებენ საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერების წარმომადგენლებიც. არქეოზოოლოგები ახდენენ მონაპოვარი ძვლოვანი მასალების შესწავლას. საგულისხმოა, რომ შარშან ტროას ქვედა ქალაქში პირველად აღმოჩნდა ლომის ყბა. ეს მნიშვნელოვანი აღმოჩენაა, რადგან ტროიანულ სამყაროში ლომის არსებობა დოკუმენტურად დადასტურდა.

ძველი გზების, კედლებისა და ნაგებობების რეკონსტრუქციისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მაგნიტურ გამოკვლევებს, მაგნიტური დაზვერვების წყალობით შესაძლებელი გახდა „უხილავი“ ტროას აღდგენა. აღსანიშნავია დათარიღების საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეთოდების ფართოდ გამოყენება ტროას მონაპოვრების ქრონოლოგიური ინტერპრეტაციის დროს.

ტროას ბორცვზე (ქვედა ქალაქის ჩათვლით) შარშან ერთდროულად ათი არეალი ითხრებოდა. გათხრებს აწარმოებდნენ მაღალი დონის პროფესიონალები თურქეთიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, ავსტრიიდან, პროფესორი კორფმანი ორ კვირაში ერთხელ შემოგვატარებდა ხოლმე მთელ ბორცვსა და ქვედა ქალაქს და დაწვრილებით გვიხსნიდა ყოველივეს. ეს შემოვლა რამდენიმე საათს გრძელდებოდა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ შლიმანის მიერ 1870 წელს დაწყებული საქმე ღირსეული მემკვიდრის ხელშია, და რომ ყველა „ტროელი“ პროფესორ კორფმანის ხელმძღვანელობით ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ტროა — მსოფლიო კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი — სრულად იქნეს შესწავლილი და სამზეოზე გამოტანილი.

ტროას ექსპედიცია თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალურია. მასში სხვადასხვა ერის წარმომადგენლები სამი თვის მანძილზე ერთად ცხოვრობენ და მუშაობენ. ყველა ცდილობს ღირსეულად წარმოაჩინოს თავისი ქვეყანა, გააკეთოს მაქსიმუმი და დაეხმაროს კოლეგას, თუკი რაიმე პრობლემა წარმოიშობა. ტროაში ყველა თანასწორია, არავინ ფიქრობს, რომ მას სხვაზე მეტი უფლებები გააჩნია... ყველაზე მძიმე სამუშაოებს ექსპედიციის ხელმძღვანელი თავის თავზე იღებს, ის ყველასათვის ძალიან ბევრს აკეთებს და ყველა მას ასევე თავდადებული მუშაობით უპასუხებს.

მე ბედნიერი ვარ, რომ ტროას არქეოლოგიურ გათხრებზე ვიმყოფებოდი. ეს მარტო ჩემი კი არა, მთლიანად ქართული არქეოლოგიის დაფასებაა. ტროა დიდი სკოლაა და მე ვეცდები, იქ შეძენილი ცოდნა მაქსიმალურად გამოვიყენო ქართული არქეოლოგიის საკეთილდღეოდ. რა თქმა უნდა, შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ერთი არქეოლოგიური კამპანიის მანძილზე ყველაფერი გავიგე. ტროას კარგად გაგებას დიდი შრომა სჭირდება, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს მის შესახებ არსებული უმდიდრესი არქეოლოგიური ლიტერატურის სრულად შესწავლას, ტროას არქიტექტურისა და მონაპოვრების სწორად და საფუძვლიანად აღქმას. მნიშვნელოვანი სამუშაოებია გასაწევი ასევე კავკასიის კულტურებისა და ტროას კავშირურთიერთობების კვლევის თვალსაზრისითაც.

ჯონი აფაქიძე,

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ძველი მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრის გამგის მოადგილე, დოცენტი.

სადღეისო დიალოგები

თუ მამუშავებ, ხელფასიც მომეცი!

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების პროფკავშირთა ხელმძღვანელების შეხვედრა მოსკოვში

ამ რამდენიმე ხნის წინ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის **(დსთ)** ქვეყნების პრეზიდენტების შეხვედრის კვალობაზე გაიმართა თანამეგობრობის ქვეყნების პროფკავშირების საყოველთაო კონფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პროფკავშირთა ხელმძღვანელები. საქართველოს წარმოადგენდა პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში.

კომიტეტის სხდომაზე განიხილეს პრობლემური საკითხები, რომლებიც სპეციფიკურია თანამეგობრობის ეკონომიკური სივრცისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს პროფკავშირების მოქმედების ტაქტიკისა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების დროული გაცემის საკითხების განხილვას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში თანამეგობრობის მთელ რიგ ქვეყნებში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომელსაც ანალოგი არა აქვს მთელ მსოფლიოში, როცა მუშა-მოსამსახურეები 3-4 და მეტი თვის განმავლობაში არ იღებენ ხელფასს. ძირითადად ამის მიზეზია სახელმწიფო მმართველობითი და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უუნარობა და არაკომპეტენტურობა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, როდესაც მოსახლეობის ფართო ფენები (მცირე გამონაკლისის გარდა) გაღატაკებულია, ხელისუფლებამ თუ სამუშაოს მიმცემმა უნდა მიიღონ საგანგებო ზომები და განახორციელონ მომუშავეთა დროული და შესაბამისი ანაზღაურება. ამ საკითხთან დაკავშირებით სხდომაზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება. დადგენილების თანახმად პროფკავშირებმა უნდა გააქტიურონ თავიანთი ზემოქმედება იმ თანამდებობის პირებზე, რომელთა გამოც არც თუ იშვიათად ხდება დანაშაულებრივი ქმედება, თუნდაც ხელფასების გაცემის დაგვიანებაში რომ გამოიხატება. საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მომზადება, რომლებიც მატერიალურ და იურიდიულ პასუხისმგებლობას დააკისრებენ ასეთ ხელმძღვანელებს.

ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე შრომითი და სოციალური ურთიერთობების რეგულირების საკითხებზე /საფინანსო-სამრეწველო, ტრანსნაციონალურ კომპანიებში, რომლებიც ფუნქციონირებენ თანამეგობრობის ტერიტორიაზე.

სხდომაზე განიხილეს **დსთ-ს** ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეაზე განსახილველი სარეკომენდაციო-საკანონმდებლო აქტების პროექტები, რომლებიც შეეხება კოლექტიურ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, მშრომელთა შემოსავლების ინდექსაციას. სხდომაზე სხვა მრავალ საკითხზეც იმსჯელეს და მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

საქართველოში შექმნილი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სიტყვით გამოვიდა ბატონი ირაკლი ტუღუში.

კითხვაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ რეალურად [illegible] შირებს ქვეყანაში [illegible] ამ მეტად რთულ [illegible] ზე, ბატონი ირაკლი ტუღუში კატეგორიულად მოითხოვა ხელისუფლებისაგან [illegible] საკითხებში [illegible] პრობლემების [illegible] და გადამჭრელი ზომების მიღებას, რათა მომუშავეებმა ისედაც მცირე ხელფასი სრულად და დროულად მაინც მიიღონ.

საქართველოს პროფესიული კავშირების პრესცენტრი.

შეხვედრები აჭარის სინამდვილესთან

შარავანდედი, რომელიც შემოქმედს ადგას აჭარაში

არასდროს დამავიწყდება ქორობის ხეობაში ერთ აჭარელ გლეხთან შეხვედრა, რომელმაც აჭარაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ დღეების ყველა მონაწილე გაგვაოცა თავისი კაფიობის ნიჭით და ნაკითხობით. მან ზეპირად იცოდა თითქმის მთელი თანამედროვე ქართული პოეზია. ბარემ ვიტყვი, რატომ დავმალო: ამ კაცმა ბევრი თბილი სიტყვა მითხრა, როგორც ქართველს, ანუ ქართველ პოეტს. ძალიან გამიხარდა, თანაც ვშიშობდი, ღმერთი არ გაუწყრეს და კაფიობაში არ გამიწვიოს მეთქი! მერე მივხვდი: იგი „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი და მისი შემნახველ-გადამრჩენელი ერის ღირსეული შვილი იყო, ვისაც მშობლიური მწერლობა უყვარს, ისინი ჩემთვის საქართველოს და მისი მომავლის დიდი ჭირისუფლები არიან.

საერთოდ, ლიტერატურა და ხელოვნება ერის ფსიქიკის, ეროვნული სულისა და იდეალების ყველაზე უკეთესი გამომხატველია. და ყველაფერი რაც ეროვნული საგანძურია, სახელმწიფოებრივი მოვლა-პატრონობის საგანი უნდა იყოს. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ღრმადა აქვთ შეგნებული აჭარულ ადამიანებს. აქ საბაზრო ეკონომიკის კვალობაზე ბევრი რამ იცვლება, მაგრამ არ იცვლება გულისხმიერი, ჭირისუფლური დამოკიდებულება კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. და არათუ არ იცვლება. პირიქით, დღითიდღე მატულობს ინტერესი კულტურული ცხოვრების აღორძინებისაკენ. ამიტომაც იგრძნობა აჭარაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა უბანზე საქმის სიყვარული და შენების შემოქმედებითი ენთუზიაზმი. და რაც მთავარია, მკითხველებს უნდა გავუზიარო ერთი ჩემი აღმოჩენა: აქ, აჭარაში შემოქმედი კაცის სახელს ისევე ადგას შარავანდედი, როგორც ძველად, ანუ როგორც ყოველთვის.

შოთა ნიშნიანიძე.

ავყიობა, რომელიც წამლავს სულსაც და... ხალხსაც

გაზეთ „7 დღის“ ერთი პუბლიკაციის გამო

გასული წლის დამლევს, 22-23 დეკემბერს შემზარავი ტრაგედია მოხდა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. აბობოქრებულმა ტაიფუნმა დააზიანა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტვირთმზიდი ხომალდი „მემედ აბაშიძე“, რომელიც ჩაიძირა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ აკვატორიაში, სადაც კატასტროფა განიცადა ქართულმა გემმა, რამდენიმე დღით ადრე ჩაიძირა ორი ხომალდი, ამასთან იმავე რეგიონში უგზოუკვლოდ გაუჩინარდა რუსეთის სამხედრო ბაზის სამი თვითმფრინავ-გამანადგურებელი, რის მიზეზებიც დღემდე არ არის გარკვეული.

მახსოვს, მთელი საზღვაო დეპარტამენტი, მთელი ბათუმი შეაძრწუნა „მემედ აბაშიძის“ ბორტიდან გადმოცემულმა საგანგაშო სიგნალმა. ოპერატიულად შექმნილ შტაბში, თავი მოიყარა ყველამ, ვისაც არაერთი ათეული წელი გაუტარებია ზღვასთან ჭიდილში. საზღვაო დეპარტამენტის უფროსის, შორეული ნაოსნობის გამოცდილი კაპიტნის ბიჭიკო ვარშანიძის გვერდით დადგნენ სანაოსნოს გამოცდილი კაპიტნები, სპეციალისტები. დამყარდა განუწყვეტელი კავშირი ხიფათში ჩავარდნილ ქართულ გემთან, აგრეთვე იქვე აკვატორიაში მყოფ იაპონიის გემთან, ჰონკონგის საკოორდინაციო სამაშველო ცენტრთან. ასე დაიწყო ქართული ხომალდის „მემედ აბაშიძის“ გადარჩენისათვის ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელება, მაგრამ... სამწუხაროდ, ყოველგვარი მცდელობა ამაო გამოდგა. გემი ჩაიძირა. კატასტროფამ შეიწირა გემის კაპიტანი თამაზ მხეიძე, კაპიტნის უფროსი თანაშემწე ჯემალ ლაბაძე და გემის უფროსი მექანიკოსი ვლადიმერ ბაზილევსკი. ეკიპაჟის 28 წევრი გადაარჩინა და ბორტზე აიყვანა იაპონურმა გემმა „სანტაესმერალდამ“, რომელსაც მთელი ორი დღის მანძილზე არ გაუწყვეტია რადიოკავშირი საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის ოპერატიულ შტაბთან.

ამ კატასტროფის დღიდან ორი დღის შემდეგ ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა ვრცელი რეპორტაჟი და ინტერვიუ საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის ოპერატიული შტაბიდან, რომელშიც სანაოსნოს უფროსმა ბიჭიკო ვარშანიძემ მოგვითხრო ამ კატასტროფის შესახებ. ჩვენვე გამოვაქვეყნეთ დაღუპულ მეზღვაურთა ნეკროლოგებიც და ის განცხადებებიც, რომლითაც მისი თანამოძმენი უკანასკნელ მოვალეობას იხდიდნენ მეგობართა ხსოვნის წინაშე.

დაიღუპა გემი, დაიღუპნენ ადამიანები — გამოცდილი მეზღვაურები, რომლებმაც გმირულად მიიღეს სტიქიის გამოწვევა, ბათუმმა გამოიგლოვა თავისი შვილები, მაგრამ... ჩემთვისაც და ყველასთვის მოულოდნელად გაზეთ „7 დღეში“ გამოჩნდა ჟურნალისტ ლ. ტოკლიკიშვილის პუბლიკაცია, რომელშიც, რომ იტყვიან, თავდაყირაა დაყენებული ყველაფერი დაღუპული მეზღვაურების სახელებიდან დაწყებული, თვით გემის სახეობისა და დანიშნულებით დამთავრებული. მე არაფერს ვიტყვი იმ მკრეხელობასა და სარკაზმზე, რომელიც ნამდვილად შეურაცხყოფს ისეთი დიდი მოღვაწისა და მამულიშვილის ნათელ სახელს, როგორიც მემედ აბაშიძეა.

არა მგონია ღირსეულმა ქართველმა კარგად არ იცოდეს, ვინ იყო მემედ აბაშიძე — საქართველოსათვის, მისი ერთიანობისათვის დამაშვრალი მოღვაწე, კაცი, რომლის წინაშეც ქუდს იხდიდა თავად დიდი ილია. ქალბატონი ტოკლიკიშვილი კი ისე ხარობს „მემედ აბაშიძის — გემისა და ადამიანის“ დაღუპვით, რომ ეს აღტაცება სათაურშიც კი გამოუხატია... მართალია, შემდეგ იხსენება ამ „ნაწარმოების“ ძირითადი თემაც და ადრესატიც — მემედ აბაშიძის შთამომავალი ასლან აბაშიძე, რომელსაც (ტოკლიკიშვილის თქმით) თურმე „ქვეყანა დაუქცევია“ თავის გამოსვლაში დაღუპული გემის კაპიტნის დედის სიტყვების ციტირებით.

რამდენიმე ათეული წელია [illegible] ვემსახურები; ბევრი პოლემისტიც მყოლია, მაგრამ ქ-ნ ტოკლიკიშვილისთანა ღვარძლიანი და ამასთან ყოვლად დაუსაბუთებელი მასალები აჭარის პრობლემებთან დაკავშირებით ჯერ არ შემხვედრია... „7 დღის“ პუბლიკაციებსა და მათ ზოგიერთ ავტორებს რომ ვაკვირდები გასულ წლებში ჩემთვის კარგად ცნობილი „რესპუბლიკელთა“ სუნი მცემს, იმ „რესპუბლიკელთა“, რომლებსაც აჭარისა და მისი ხელმძღვანელის ხსენებაზე დღესაც ელეთ-მელეთი მოსდით. მე რომ მკითხოთ, აღარც მეგონა, თუ ისინი ისევ ცოცხლები იყვნენ (ცხადია, აქ პოლიტიკურ სიცოცხლეს ვგულისხმობ!) მხოლოდ ერთი მწყინს და მაკვირვებს — ამ „არაცოცხლებმა“ როგორ წამოაგეს ანკესზე ჩემი ახალგაზრდა ცოცხალი კოლეგა, რომელსაც „რესპუბლიკური ბაცილა“ რომ არ შეჰყროდა, ვინ იცის...

ჟურნალისტიკაში (მე ვგულისხმობ, პროფესიონალურში) ერთი დაუწერელი კანონი არსებობს — უნდა საფუძვლიანად ფლობდე თემას, რომელზეც წერ. ამასთან ხელთ უნდა გქონდეს დოკუმენტური მასალა, რომლიდანაც მხოლოდ ნაწილს გამოიყენებ, ხოლო დანარჩენს კი შეინახავ „ყოველი შემთხვევისათვის“, რომ შემდგომ სანანებლად არ გაგიხდეს საქმე.

როგორც ჩანს, ქ-ნ ტოკლიკიშვილს არათუ შემონახული, ერთი დოკუმენტური ფაქტიც კი არ ჰქონია. სამაგიეროდ, ჰქონდა ყურმოკრული, აჭარაზე განაწყენებულ თანამოსაქმეთა გულებში დაგროვილი სიძულვილი, და კიდევ ის, რამაც ბოლო წლებში ჩვენი ჟურნალისტიკა „ნინიას ბალად“ აქცია. ამ შემთხვევაში ეს „ბალი“ ჩვენებურ ენაზე განუკითხაობასა და უპასუხისმგებლობას ნიშნავს.

აკი დასაწყისშივე მოგახსენეთ, რომ ოპერატიულ შტაბში, რომელიც საქართველოს საზღვაო დეპარტამენტში შეიქმნა „მემედ აბაშიძის“ გადასარჩენად, ჟურნალისტებიც ვსაქმიანობდით. ასე რომ, ჩემთვის ცნობილია ამ მოვლენასთან დაკავშირებული ყოველი წვრილმანი თუ მსხვილმანი, რაც სათანადოდ ავსახე კიდეც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ეტყობა, „7 დღის“ მუშაკები, საკუთარი გაზეთის გარდა სხვას არაფერს კითხულობენ, თორემ იმას როგორ ვერ დაიმახსოვრებდნენ, რომ „მემედ აბაშიძე“ ტანკერი კი არა ე. წ. სამშრალტვირთო გემი იყო. ტანკერსა და ტვირთმზიდ გემს ერთმანეთისაგან. თუ ვერ ანსხვავებ, საერთოდ ხელი უნდა აიღო ნებისმიერ საზღვაო თემაზე. აი, ნახეთ, რას წერს ლია ქალბატონი: „ალბათ გადამწყვეტი მიზეზი (გემის დაღუპვაზეა ლაპარაკი!) იყო ის, რომ ტანკერი „მემედ აბაშიძე“, როგორც ყველა ტანკერი, მხოლოდ თხევადი ტვირთების გადასატანად იყო გამიზნული. მშრალი ტვირთის გადატანა, კი, რისი ბრძანებაც მოვიდა ბათუმიდან, (დააკვირდით, თურმე როგორ ბრძანებებს იძლევიან ბათუმიდან!) გემს შესაბამისი სპეციალური მოწყობილობის დაუმონტაჟებლად არ შეეძლო, ამრიგად ბრძანება გემისა და მთელი ეკიპაჟის დაღუპვის რისკს გარდაუვლად შეიცავდა“.

ოლოლო, თქვენ!

მოდი და, ნუ იკითხავ: ქ-ნ ტოკლიკიშვილს ტანკერზე მშრალი ტვირთის გადასატანად, ნეტავ რომელი მოწყობილობის დამონტაჟება ჰქონდა მხედველობაში, იმას არ ამბობს. მეც ვერ გეტყვით და ვერც გემთმშენებელთა მთელი ინსტიტუტიც... იმას კი ვიტყვი, რომ ამ მასალის წაკითხვის შემდეგ ორი დღის მანძილზე მწარედ იცინოდა მთელი სანაოსნო. პირდაპირ მაოცებს: ნუთუ არავინ აღმოჩნდა მთელ რედაქციაში ისეთი, რომ ერთი საზღვაო წიგნი მაინც ჰქონოდა წაკითხული, რათა ასეთ სასაცილო ვითარებაში არ ჩაეგდო მთელი გაზეთი.

მამ, თუ „მემედ აბაშიძე“ ტანკერი კი არა „მშრალტვირთმზიდი“ იყო, მაშინ მას სარისკო არაფერი გაუკეთებია, როცა დატვირთული რკინეული და სოდა ყველა პარამეტრის დაცვით მიჰქონდა ჩინეთში. ამას ადასტურებს დატვირთვის ნავსადგურებიდან საქართველოს საზღვაო დეპარტამენტისათვის გამოგზავნილი შესაბამისი დოკუმენტაცია. აქვეა სპეციალური კომისიის მიერ მოძიებულ დოკუმენტთა მთელი ნუსხა, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ ქართულმა ტვირთმზიდმა გაიარა საზღვაო კანონმდებლობით დადგენილი ყველა საკონტროლო პროცედურა, რის შემდეგაც მას მიეცა ნავსადგურიდან გასვლის ნებართვა.

ჩემს უმცროს კოლეგას უნდა მოვახსენო, რომ ზღვას და საზღვაო საქმეს სულ სხვა კანონები აქვს. მათ შორის დაუწერელიც. აქ ჩვენებური „ჩაწყობით“, „მოქრთამვით“ თუ გაბრუებით ვერაფერს გახდები. არც ერთი პროფესიონალი არ დაგრთავს ზღვაში გასვლის ნებას თუ გემი არ აკმაყოფილებს საზღვაო კანონმდებლობით დადგენილ ყველა პარამეტრს. მე რომ თქვენს ადგილას ვყოფილიყავი, ჩავიდოდი დეპარტამენტში და მოვითხოვდი ამ დოკუმენტაციას. თუკი არც ჩემთვის და, მითუმეტეს, არც სახელმწიფო კომისიისათვის არ დაუმალიათ, რაღა თქვენ დაგიმალავდნენ. ვერ ვიტყვი, როგორ არის „7 დღეში“ მოგვარებული მივლინების პრობლემა, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ არც ერთი თქვენგანი ბათუმში არ ყოფილა და არავითარ დოკუმენტურ მასალას არ გასცნობია. ეტყობა კიდეც თქვენს ნაწერს, რომელიც, მხოლოდ ე. წ. „გადარჩენილი მეზღვაურის ნაამბობს“ ეყრდნობა. იმიტომაც გაჩნდა თქვენს ნაწერში ტანკერი, შიფროგრამები (რაშია საქმე — გესტაპო გაქვთ თუ რედაქცია, თქვე კაი ხალხო!) ათასგვარი ჭორი და ცილისწამება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალურ ვითარებასთან. თუმცა ერთი კრიმინალური ელემენტისათვის მაინც ჩაგვლიათ ხელი... შეგახსენებთ, იმ საიდუმლო ვიდეოფირს, რომელიც თურმე დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ასლან სმირბას (ამისათვის საგანგებოდ სტამბოლში ჩასულს) ხელში ჩაუგდია და სადღაც გაუქრია რომ არ გამომჟღავნებულიყო „ტანკერ მემედ აბაშიძის“ კატასტროფის „ნამდვილი მიზეზი“.

ერიჰა!.. ძმებო, „7-დღეელებო“, ჩვენ ჟურნალისტებმა, ვინც აჭარაში ვმუშაობთ, უკვე ზეპირად ვიცით ეკიპაჟის ერთ-ერთი მოყვარულის მიერ გადაღებული ეს ვიდეო მასალა. ჩამობრძანდით და თქვენც გაჩვენებთ. რაც შეეხება ბატონ ასლან სმირბას, რომელსაც თქვენ ასეთ საგანგებო ვოიაჟს აბრალებთ, იმ დღეებში იგი საერთოდ არ დაძრულა ბათუმიდან და სრულიად სხვა საპასუხისმგებლო საქმით იყო დაკავებული. ამას დაგიდასტურებენ პრეზიდენტის მიერ გამოყოფილი საგანგებო კომისიის წევრებიც, რომლებმაც საფუძვლიანად შეისწავლეს ამ კატასტროფის ყოველი დეტალი.

პირდაპირ გაოცებას იწვევს ქალბატონ ტოკლიკიშვილის ინტერპრეტაცია, როცა იგი საგანგებო საეჭვო ბურუსით მოსავს გემის კაპიტნისა და სხვა ხელმძღვანელების თითქოსდა წინასწარი განზრახვით დაღუპვის ამბავს. თუ ავტორისეულ ხაზს გაჰყვებით, ნახავთ, რომ ადამიანებმა, რომლებიც „საეჭვო ვითარებაში“ დაიღუპნენ, თურმე თან წაიღეს წინასასიკვდილო პროტესტის გრძნობა მათი ორგანოს — საზღვაო დეპარტამენტის წინაშე.

— ბრავო!.. ასეთი რამ არ ხდება ზღვაზე, ქალბატონო. ხომალდი ზღვაში ცალკე, დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მთელი პასუხისმგებლობა ამ „სახელმწიფოზე“ კაპიტანთან ერთად თითოეულ მეზღვაურს ეკისრება. აქ ძმობა და თანადგომა გაცილებით უკეთ იციან, ვიდრე ჩვენ ხმელეთზე ვიცით. ერთადერთი საიდუმლო, რომლის ამოხსნაც მოუწევს ჩვენს საზოგადოებრიობას, მაშია, რომ პასუხი გაეცეს ერთ, ერთი შეხედვით, პროზაულ კითხვას: — რაში სჭირდებათ „7-დღეელებს“ თავიანთი ფუცობის (პარდონ, საზღვაო საქმე მაქვს მხედველობაში!) ასეთი გამოჭენება, თანაც ასე საჯაროდ? ამით ხომ არც სახელოვან მემედ აბაშიძეს, არც მის შთამომავლებს, არც საზღვაო დეპარტამენტსა და არც იმ გმირულად დაღუპულ მეზღვაურთა ნათელ სახელებს, ჩრდილიც არ მიადგება.

გაზეთის ავყიობა და არაკომპეტენტურობა კი, სამწუხაროდ, დარჩება!

გია ჩელიძე,

„საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარის ბიუროს ხელმძღვანელი.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

ᲢᲐᲡᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ



ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას ეწვია საქართველოში დიდი ბრიტანეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „ვერტიკის" წარმომადგენელი დანიელ კაზანსი და ესაუბრა გაზეთის მთავარ რედაქტორს.

აღნიშნული ორგანიზაცია უკვე ერთი წელიწადია ეცნობა საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობას. დანიელ კაზანსი, როგორც მან განაცხადა, საქართველოში ერთ წელიწადს დაჰყოფს. შეისწავლის ქართული პრესის მდგომარეობას, შეიმუშავებს მისი შემდგომი განვითარების პროგრამას. ამ პროგრამის შემუშავებას აფინანსებს ევროპის კავშირის ტასისის განვითარების ფონდი.

ტასისი არის ევროკავშირის მიერ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის (საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებისათვის, გარდა ბალტიის ქვეყნებისა) შემუშავებელი პროგრამა; მოწოდებულია ხელი შეუწყოს ევროპის კავშირის ჰარმონიული და მტკიცე ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარებას აღნიშნულ პარტნიორ ქვეყნებთან. პროგრამის მიზანია მხარი დაუჭიროს პარტნიორი-ქვეყნების ძალისხმევას, შექმნას პოლიტიკურ თავისუფლებათა და ეკონომიკურ სიუხვეზე დაფუძნებული საზოგადოება. ამ მიზნით, ტასისი გამოყოფს სუბსიდიებს (აუნაზღაურებელი დაფინანსება) ნოუ-ჰაუს გადაცემისათვის, უპირატესად მხარს საბაზრო ეკონომიკაზე, დემოკრატიულ საზოგადოებაზე გადასვლის პროცესს. თავისი საქმიანობის პირველი ოთხი წლის მანძილზე 1991-1994 წლებში ტასისმა აუნაზღაურებლად გამოუყო თავის პარტნიორებს 1,75 მილიონი ეკიუ. ამან შესაძლებელი გახადა დაეწყოთ 2 000 პროექტის განხორციელება.

მუშაობა პროგრამაზე წლეულს მარტში დაიწყება და გაისად მარტში დამთავრდება.

დანიელ კაზანსი დაინტერესდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" (როგორც ტრადიციულად საქართველოს წამყვანი გაზეთის) სტატუსით, ფინანსური მდგომარეობით, მისი ადგილით ქვეყნის გაზეთებს შორის, პოზიციით დღევანდელ რთულ გარდამავალ პერიოდში. ითქვა, რომ „საქართველოს რესპუბლიკა" არის თავისუფალი გაზეთი, სახელმწიფოსთან დადებული აქვს ხელშეკრულება, სათანადო ანაზღაურებით აქვეყნებს ხელისუფლების ყველა ოფიციალურ მასალას. ამდენად, გაზეთი ოფიციოზიც არის. რედაქტორმა სურვილი გამოთქვა, რომ კარგი იქნება პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინონ კორესპონდენტთა ურთიერთგაცვლის საკითხი, თუმცა, ჯერჯერობით, ამ მნიშვნელოვან საქმეს ფინანსური სიძნელეები ეღობება.

დანიელ კაზანსმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველო შესძლებს არსებული სიძნელეების გადალახვას, მან გაზეთის მთავარ რედაქტორს აღუთქვა, რომ საქართველოსათვის მას-მედიის პროგრამის შემუშავებისას მის წინადადებებსაც გაითვალისწინებენ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ᲙᲝᲢᲔ ᲠᲣᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

კიდევ ერთი ღვაწლმოსილი პიროვნება დაკარგა ჟურნალისტთა საზოგადოებამ.

ᲙᲝᲢᲔ ᲠᲣᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ — საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის" განყოფილების გამგედ, გაზეთ „იზვესტიის" საკუთარ კორესპონდენტად საქართველოში, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივნად, „საქწიგნის" პასუხისმგებელ თანამშრომლად.

კოტე რუსიტაშვილი, ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყო, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, ადამიანებისადმი ყურადღებიანი, გულისხმიერი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა.

კოტე რუსიტაშვილის ნათელი ხსოვნა დარჩება იმათ გულში, ვინც იცნობდა და აფასებდა მის ადამიანურ ღირსებებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲥᲔᲑᲣᲚᲐᲫᲔ

გარდაიცვალა ცეკავშირის ღვაწლმოსილი მუშაკი, სამხედრო-სამობილიზაციო სამსახურის უფროსი ᲑᲝᲠᲘᲡ ᲮᲔᲕᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲥᲔᲑᲣᲚᲐᲫᲔ.

დაიბადა 1931 წელს ქ. ქუთაისში, სამხედრო სასწავლებლის და მეთაურთა შემადგენლობის უმაღლესი კურსების დამთავრების შემდეგ მსახურობდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

ხელმძღვანელობდა ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის სამოქალაქო თავდაცვის შტაბს, ხოლო 1988 წლიდან, ვიცეპოლკოვნიკის წოდებით თადარიგში გასვლის შემდეგ, დაინიშნა ცეკავშირის სამოქალაქო თავდაცვისა და სამობილიზაციო მზადყოფნის განყოფილების უფროსად. ბორის ქებულაძე გამოირჩეოდა საქმის ღრმა ცოდნით, პრინციპულობით და მინდობილი საქმისადმი ერთგულებით, გულთბილი დამოკიდებულებით.

თანამშრომელთა შორის დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა. სანიმუშო წესრიგი მის სამუშაო უბანზე არაერთხელ აღინიშნა ცეკავშირის გამგეობის და ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ.

დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით და მედლებით.

ბატონი ბორისი მუდამ ეხსომებათ მის მეგობრებს და ახლობლებს.

ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ.

მეუღლე თალიკო, შვილები ზურაბი, ცისანა, სიძე ბესო გვასალია, შვილიშვილები ლია, ესმა გვასალიები, დისწული შალვა წულეისკირი, ძმისწულები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲠᲐᲟᲓᲔᲜ ᲞᲝᲠᲤᲘᲚᲔᲡ ᲫᲔ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ

პანაშვიდი 24 II, გამოსვენება თბილისიდან 25 II, 11 ს. ზემო ბახტრიონი, ფანასკერტელის 13ბ, მე-2 სადარბაზო, ბინა 28. დაკრძალვა 27 II, ნაქალაქევში (სენაკის რ.).

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲙᲐᲪᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲚᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ — 80



ᲑᲐᲢᲝᲜᲝ მიხეილ (მიშა) 26 თებერვალს 80 წელი შეგისრულდებოდათ, ათი წლის წინ აღესრულეთ. ერის პატრიოტი, რაინდული სულის მატარებელი, საოცრად მგრძნობიარე, დიდი და ნათელი გულის პატრონი, გონიერი მრჩეველი, ფუტკარივით მშრომელი, აი, ასეთი ახსოვხართ და ეხსომებით თქვენს სამინისტროს, თქვენს მეგობრებს, ყველას, ვისთანაც გქონიათ ურთიერთობა, ვისაც თქვენი სიბრძნის სკოლაში აუდგამს ფეხი.

ადრეულ ასაკში მოგიწიათ შრომის ასპარეზზე გამოსვლამ. ჯერ კიდევ 16 წლის პირტიტველა ჭაბუკი მშობლიურ სოფელ ფოცხოს სკოლაში მასწავლებლობდით. შემდეგ — სწავლის გაგრძელება. განათლების, ბუნებით მომადლებული ნიჭისა და დაუოკებელი ენერგიის წყალობით ცხოვრების ფართო ასპარეზზე გასვლა:

1950 წლიდან საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი ბრძანდებოდით; 1953 წლიდან საბჭოთა მეურნეობების მინისტრის მოადგილე; 1955 წლიდან ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელი; 1957 წლიდან ვაჭრობის მინისტრი; 1965 წლიდან სოფლის მეურნეობის მინისტრი; 1971 წლიდან საბჭოთა მეურნეობების მინისტრი; ხოლო 1974 წლიდან, სიცოცხლის ბოლომდე მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

სადაც კი გიმუშავიათ, ყველგან, განსაკუთრებით აგრარულ სფეროში, უაღრესად ნათელი კვალი დაგიტოვებიათ.

ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველად, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ და მინისტრად, შემდეგ კი საბჭოთა მეურნეობების მინისტრად თქვენი მუშაობის პერიოდს უკავშირდება საქართველოში სუბტროპიკული კულტურების, მევენახეობის, მებაღეობის, მეცხოველეობის და მეფრინველეობის ინტენსიური განვითარება, დიდი მასშტაბებით მელიორაციული სამუშაოების განხორციელება. თქვენი ხელმძღვანელობით ჩაეყარა საფუძველი ათობით მსხვილი სახაზინო სპეციალიზებული მეურნეობისა და კომპლექსის ჩამოყალიბებას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ პერიოდს ემთხვევა საქართველოში აგრარული სექტორის კვალიფიციური კადრებით შევსება, დარგის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

თქვენი, გამორჩეული ორგანიზატორული და შემოქმედებითი ნიჭის კიდევ ერთი გამოვლინება იყო მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დირექტორად მუშაობის პერიოდი. ინსტიტუტის თქვენეული ხელწერით შედუღაბებულმა კოლექტივმა მოკლე დროში შექმნა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ისეთი ჰიბრიდული ჯიშების გამოყვანა, რომლებიც თავისი თვისებებით ტოლს არ უდებდნენ მსოფლიო სტანდარტებს. სწორედ ამ გზით მიაღწიეთ იმას, რომ ინსტიტუტი გადაიყვანეთ პირველ კატეგორიაში, რაც იმ დროისათვის ადვილი მისაღწევი არ იყო. თქვენს ნათელსვეტად დგას და კიდევ დიდხანს იდგება ინსტიტუტის ულამაზესი შენობა თავისი ეზო-კარით, სადაც თქვენ თვითონ იყავით მშენებელიც, მებაღეც და გუშაგიც, მას თქვენი პეწი დღესაც ატყვია.

სამწუხაროდ, ინსტიტუტი იყო თქვენი დიდი ნიჭის უკანასკნელი ასპარეზი. კიდევ ბევრის გაკეთება შეგეძლოთ ერის საკეთილდღეოდ, მაგრამ თქვენმა მრავლის დამტევმა კეთილმა გულმა მეგობრის წლისთავის ხსოვნის სუფრაზე გიმტყუნათ, წახვედით ამ ქვეყნიდან ყველას შეუწუხებლად, ფეხზე მდგომი, შესანდობარი სასმისით ხელში, აქაც თქვენი ხელწერით.

მოსკოვიდან, სახელოვანი ოჯახიდან თქვენი მეუღლისათვის მაშინ გამოგზავნილ სამძიმრის დეპეშაში ნათქვამია: „კეთილი მეზობელი, ჭირში თანამდგომი, ლხინის გამზიარებელი, ყველაზე მზრუნველი, ყველას მოამაგე — ასეთი დარჩება ჩვენს ხსოვნაში ბატონი მიხეილი, ჩვენი მიშა". დიახ, ასე ახსოვხარ, ასეთი ეხსომები შენს მეგობრებს, ათასობით შენს მიერ საქმეში დავაჟკაცებულებს, საქართველოს აგრარიკოსებს.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მარადისობაში გადასული შენი ლამაზი სული.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ; ᲨᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲔᲥᲪᲐ

1995 ᲬᲚᲘᲡ 15 მაისს ზვიად ოსეფის ძე ბეროშვილმა ავტომანქანის დაუფლების მიზნით, ქალაქ თბილისში, დაიქირავა „გაზ-24" მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ვახტანგ ლუაშვილი. სოფელ ჩუმლაყის ტერიტორიაზე ბოროტმოქმედმა [illegible] სანადირო თოფით სიცოცხლეს გამოასალმა, გვამი გადამალა, თვითონ კი ავტომანქანას დაეპატრონა. როდესაც ბეროშვილმა შეიტყო, რომ პოლიციის მუშაკებმა გვამი აღმოაჩინეს, სცადა მანქანის გადამალვაც.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის განსაკუთრებული სისასტიკე, მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება და ზ. ბეროშვილს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲪᲔᲜᲢᲠᲘ.

ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის გუშინდელ ნომერში მე-4 გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში „ეფექტიანად უნდა ვიყენებდეთ ინტელექტუალურ პოტენციალს" ქვესათაურში და ტექსტში უნდა იკითხებოდეს — „ამერიკული მეცნიერებათა აკადემია საქართველოში".

ᲨᲔᲫᲐᲮᲘᲚᲘ

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲔᲜᲡ ᲨᲘᲝ ᲛᲦᲕᲘᲛᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲡ?!

ᲐᲛ ᲠᲔᲞᲚᲘᲙᲘᲡ ადრესატებს, ვისთანაც შიო მღვიმელს წარდგენა არ სჭირდება, შევახსენებ, რომ საქართველოს დედაქალაქში არსებობდა ხალხთა მეგობრობისა და კომკავშირის მუზეუმები, მაგრამ დღემდე არ არსებობს ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებლის სახლ-მუზეუმი.

ობიექტურობაზე თავს ველარ დავდებ, ვინმეს რომ ვუსაყვედურო, რადგან მიზეზი აი ამ სტრიქონების ავტორის გენეტიკური სიკეთე და ხელგაშლილობაა. „როგორ მინდა, როგორ მინდა, საქმეს თავს არ ვარიდებდე, ჩემს თეატრში, ჩემს სპექტაკლზე ბილეთს მუქთად ვარიგებდე". აკი უშურველად „მუქთად ჩამოარიგა", რაც ებადა.

ნაქირავებ პატარა ბინაში (საიდანაც გამოსახლების საფრთხე, დღითიდღე იზრდება ქირის მომატების გამო) ცხოვრობს შიო მღვიმელის ქალიშვილი ქეთევან ქურუკაშვილი, რომლის პიესები წლების მანძილზე ამშვენებდა ქართული თეატრის რეპერტუარს და დღესაც საინტერესო შემოქმედებით ნობათებს ჰთავაზობს მას. აქ ამ უცხო ჭერქვეშ მარადიულ დღეთა მოგონებებით ცოცხლობს იგი და 80 წლის ასაკში სევდიანი სტრიქონებით ავსებს თავის მარტოობას, თვალს სინანულით ავლებს მამის არქივს, სადაც შემონახულია ვაჟა-ფშაველას, ვასო აბაშიძის, ია ეკალაძის, ნიკო გოცირიძის, თედო სახოკიას, შიო არაგვისპირელის, გიორგი ქუჩიშვილის ფოტოები, ავტოგრაფები.

„ძია შიოს" თაყვანისმცემელთა და გულშემატკივართა ძალისხმევის მიუხედავად, თავი ვერ დაედგა სახლ-მუზეუმისათვის შესაფერისი ფართობის გამოყოფას, სადაც პოეტსა და პროზაიკოს ქალს, ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები ექნებოდა და ღირსეული ქართველი მწერლის არქივიც ღირსეულ ბინას დაიდებდა.

კარგი იქნება თუ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს გურამ ფანჯიკიძეს მხარში ამოუდგებიან სილამაზის კონკურსების, სიცილ-ხარხარის სალამოების სპონსორები, სხვანი და სხვანი, ცოტაოდენ სახსრებს გაიმეტებენ, რომ ქალაქის ცენტრი კიდევ ერთმა სახლ-მუზეუმმა დაამშვენოს. ეს იქნება ჰუმანიზმის, შრომისმოყვარეობის, პატიოსნების, პატრიოტიზმისა და სიკეთის მქადაგებლის პოეზიაზე აღზრდილი თაობების სამადლობელი.

ᲚᲔᲘᲚᲐ ᲙᲝᲨᲙᲐᲫᲔ.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ანტიკვარული როიალი „სტეინვეისონი", სავარაუდო ფასი 3800 ლარი, ტელ.: 34-84-83, გელა.

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ᲣᲨᲐᲜᲒ ᲒᲐᲑᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲐᲓ წავიდა ჩვენგან ᲣᲨᲐᲜᲒ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲒᲐᲑᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ერთი შეხედვით, უჩინარი და უპრეტენზიო კაცი, რომელმაც თავისი ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე სულ ორიოდე ტიტული დაიმსახურა — პოეტი და ადამიანი. ამ ტიტულებისაკენ მხოლოდ მისთვის ჩვეული, საკუთარი გზებით იარა, ამიტომაც, როგორც პოეტი, ნაკლებად ჰგავდა სხვა პოეტებს, როგორც ადამიანი — სხვა ადამიანებს, თუმცა პოეზიაშიც და ადამიანობაშიც მშვენიერი იყო.

დაიბადა 1945 წელს, თიანეთის რაიონის სოფელ თოლენჯში. მრავალშვილიან ოჯახში ობლად აღზრდილმა, ოჯახური პირობების გამო, მხოლოდ 27 წლისამ შეაღო უნივერსიტეტის კარი. სამოცდაათიანი წლების უნივერსიტეტელებს კარგად ახსოვთ მოყვასი, დინჯი და ფიქრიანი სტუდენტი, რომელმაც, არაჩვეულებრივი ნაკითხობისა და გამჭრიახი, მიძიებელი გონების გამო, უცებ დაიგდო ინტელექტუალის სახელი, რასაც სამართლიანად ატარებდა სიკვდილამდე.

უშანგ გაბიტაშვილი, ქართული თავისუფალი ლექსის ერთ-ერთი გზამკვლევი და საუკეთესო ოსტატი, საკუთარი შემოქმედებისადმი მეტად მომთხოვნი გახლდათ. შეიძლება, ამის მიზეზიც იყო, რომ სხვა პოეტთაგან გაბეზრებული რედაქტორები უშანგს იქით სთხოვდნენ, შენი ლექსები მოიტანე გამოსაქვეყნებლადო. არავისთან მიჰქონდა, ამიტომაც ძალიან ცოტა რამ აქვს გამოქვეყნებული, გულსაკლავად ცოტა.

მეგობრობაში ერთგული, გულუხვი და კეთილმოსურნე ყველას უყვარდა. რუსთაველის მოედნიდან თავისუფლების მოედნამდე ჩავლას მთელ საათს ანდომებდა, იმდენი ნაცნობ-მეგობარი შეაჩერებდა და მოიკითხავდა.

ცხოვრებაზე ხელჩაქნეული არასოდეს გვინახავს. ძალიან უყვარდა მეუღლე და შვილები, სიკვდილ-სიცოცხლეზე კი მთელი საათი შეეძლო ესაუბრა. თითქოს შორიდან იგრძნო თავისი დასასრულიო, თხუთმეტიოდე წლის წინ დაწერილ ერთ-ერთ ლექსში ამბობს:

„უხეში და ძლიერია
ძალდატანება, როგორც
ფარაონის მომჭროლავი
ეტლი,
თავისკენ გიხმობს, ფეხები
იხორკლებიან, რომ ძვირფასმა
მოლაპლაპე რკალმა გადაგიაროს
და მოგისპოს სიცოცხლე".

სწორედ მოლაპლაპე რკალმა-ბორბალმა გადაუარა თბილისის ქუჩაში და მოუსპო სიცოცხლე. „ფარაონი" კი თავისი „ეტლიანად" მიიმალა.

ჩვენ, მისი მეგობარი ქართველი მწერლები, ვეთხოვებით რა ძვირფას უშანგ გაბიტაშვილს, დარწმუნებული ვართ, რომ მისი სული იმქვეყნიურ სამოთხეში დაიდებს ბინას, ხოლო ქართული პოეზიის ობიექტური მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის მის პოეზიასა და ჯერჯერობით ერთადერთი ლექსების კრებულს, რომელსაც „უდროობა" ჰქვია.

მშვიდობით, ძმაო უშანგ, პოეტო და ადამიანო.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲛᲪᲝᲓᲜᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

მეოთხე თვეა, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი და ყველას გული გვატკინე. შენი დაბადების დღეც მოვიდა, 26 თებერვალს [illegible] წელი შეგისრულდებოდა, რომელსაც უშენოდ უნდა შევხვდეთ. ვინ იცის რამდენი ფიქრი და ოცნება წარიტანე თან, რამდენი საქმე დაგრჩა განუხორციელებელი, მაგრამ სიკვდილმა აღარ გაცალა. ჯანღონით სავსე, სიკეთითა და სიყვარულით გამთბარი გული უდროოდ მიწაში ჩაიტანე და სამუდამოდ მოწყვიტე ოჯახს, მეგობრებს, ნათესავებს.

დიდია შენი მშობლების, და-ძმისა და ცოლ-შვილის მწუხარება. უსაზღვროდ გვენატრები და მუდამ გვახსოვხარ.

ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო ძვირფასო ნუგზარ!

ᲨᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ.

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

71 წლისა გარდაიცვალა ქართული ქირურგიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ᲝᲗᲐᲠ ᲑᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა ჰოსპიტალური, შემდეგ საფაკულტეტო ქირურგიის კათედრაზე, ხოლო 1955 წლიდან ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიულ კლინიკაში ასისტენტის, დოცენტის, პროფესორის და 1979 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კათედრის გამგის თანამდებობაზე.

ო. მამამთავრიშვილი წლების მანძილზე იყო საკავშირო ქირურგიული საზოგადოების წევრი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი, თბილისის აკად. გრ. მუხაძის სახელობის სამეცნიერო ქირურგიული საზოგადოების თავმჯდომარე, ბელორუსიის სამეცნიერო ქირურგიული საზოგადოების საპატიო წევრი, როგორც ქირურგი-მეცნიერი, იგი ჩამოყალიბდა აკად. ე. ფიფიას, პროფ. მ. ჩაჩავას, პროფ. გ. ხუნდაძის ხელმძღვანელობით.

პროფესორ ო. მამამთავრიშვილის კალამს ეკუთვნის 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი აბდომინალური ქირურგიისა და ანესთეზიოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, მრავალი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება. მისი ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, მომზადებულია მრავალი პრაქტიკოსი ექიმი. იგი თანაავტორია ქართულ ენაზე შესრულებული ანესთეზიოლოგიის პირველი სახელმძღვანელოსი, რომლითაც აღიზარდა მედიკოსთა არაერთი თაობა. შრომების ციკლისათვის „ანესთეზიოლოგია, რეანიმაცია და გადაუდებელი მდგომარეობანი" მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია, მის მიერ დანერგილმა ოპერაციულმა მეთოდებმა კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე, ღვიძლსა და ელენთაზე საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

ო. მამამთავრიშვილი იყო ფართო დიაპაზონის დასტაქარი, ღრმად ერუდირებული პიროვნება, თავმდაბალი, უაღრესად ნიჭიერი და კეთილშობილი ადამიანი, უზადო ინტელიგენტი და უმწიკვლო მეგობარი.

ოთარ მამამთავრიშვილის სახით ჩვენგან წავიდა სასიქადულო მამულიშვილი და ჭეშმარიტი პატრიოტი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ახლობლების, მრავალრიცხოვანი მეგობრების, კოლეგებისა და მადლიერი პაციენტების გულებში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ, ᲛᲔᲓᲘᲙᲝ-ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲙᲐᲓ. ᲒᲠ. ᲛᲣᲮᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ.

გლდანის დასახლების IV მიკრორაიონის 109ბ კორპუსის მე-8 სადარბაზოს მცხოვრებნი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲘᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შესანიშნავი ადამიანის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს.

ᲔᲠᲗᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ

ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲠᲐ

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲐᲠ ᲡᲬᲐᲛᲓᲐᲗ, ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘ ᲨᲝᲠᲡ ᲘᲧᲝ, ᲔᲨᲛᲐᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲜᲘ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ

ᲡᲣᲚ იმას ვაფრთხილებდით: მოგეკითხებათ, მოგეკითხებათო! არ დაგვიჯერეს.

დღეს ხალხი მოეგო გონს. ამოისუნთქა. ყაჩაღმკვლელების „პატივისცემა" დაკარგა. ორი-სამი წლის წინათ, ვიღაცამ რომ გადაბრუნებული სიტყვა უთხრა, იმასაც უხსენებენ. მიდიან პოლიციაში ასახელებენ მოძალადეთა გვარებს, დასჯას მოითხოვენ. შურისძიებას მოწყურებული ხალხის გულისწყრომას კი, მოგეხსენებათ, წინ ჯებირი ვერ აღუდგება.

დიდი გაკვეთილია.

ძველები ამბობენ: სჯობს, ცოტა ჭამო და ტკბილად დაიძინოო.

ჭკვიანური შეგონება არ არის?

ᲘᲧᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ „ᲕᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲫᲛᲝ"

ᲠᲐ დრო იყო მაინც; ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა!

ერთი რა შიში ჭამა, რომ კაცმა ყაჩაღებს 30.000 დოლარი შეარჩინა?

ახლა ნამდვილად დავრწმუნდი, სიცოცხლეზე ძვირფასი მართლაც არაფერია. სხვა რა ახსნა უნდა მოუძებნო ასეთ მოქმედებას. ზოგი ორ თეთრს დაკარგავს და ლამის გული გაუსკდეს, 30.000 დოლარისა და საუკეთესო იმპორტული ვიდეოაპარატურის დაკარგვა რა ასე იოლი მოსანელებელია, თავად განსაჯეთ!

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო თბილისში ერთი „ვაკის საძმო". ბევრი სახელოვანი გვარის შვილი, სრულიად ახალგაზრდა, ტალიკ-ტალიკი ბიჭები ეკუთვნოდა ამ საძმოს. თავდაპირველად, თავიანთი ღირსების შესაფერისი მიზნები ამოძრავებდათ, სულ სამშობლოს სიყვარული და მამულის სამსახური ეკერათ პირზე. ბიჭი იყავ და მათ კეთილშობილურ წამოწყებაში ეჭვი შეგეპარვოდა, შუაზე გაგაპობდნენ.

ლევან კიკნაძე, მეტსახელად „ჩხირო", 23 წლისა, მისი კბილა დავით შანიძე, დანარჩენები ერთი წლით უფროსები: ირაკლი წერეთელი, [illegible] სურგულაძე, გელა ძნელაძე, ლაშა ხუნწარია და ადრე ნასამართლევი, 40 წლის რომან მურ ჯოვი.

ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲐᲪ გაიღვიძეს და ნახეს, [illegible] ანგელოზი ადგათ თავზე. პატარა ჩიტი ფ[illegible]არაზე შემომჯდარიყო და გალობდა. გარდაი[illegible]ა ჩიტი, გასხვაფერდა, მშვენიერ ჩოხა-ახ[illegible]ში გამოწყობილ ჭარმაგ ბერიკაცად [illegible] საწოლზე ჩამოუჯდათ.

— რა დროს ძილია, თქ[illegible] [illegible]თებო, თქვენა! ადექით ფეხზე, ვერ [illegible]დავთ, [illegible]შენდა ხალხი! — დაუცაცხანა ბიჭებს ბერიკაცმა და თითოეულს ცალ-ცალკე გაუსწორა აჩეჩილი კოჩორი.

მთქნარებ-მთქნარებით წამოიშალნენ ბიჭები. გემრიელად გაიზმორეს და...

ერთმა თქვა, მშია, მეორემ — მწყურიაო...

— ახლავე მოგართმევთ ყველაფერს!

გაშალა სუფრა, რაღაც წაიჩიფჩიფა თავისთვის და აივსო ხორაგი — საჭმელ-სასმელი.

დიდი პატივისცემით აღივსნენ მოხუცისადმი, თან ილუკმებოდნენ, თან აქებდნენ ბერიკაცს; და მამა-მარჩენალს უწოდებდნენ.

ცოტა რომ შეზარხოშდნენ, ფეხი დაბანეს და წყალი დალიეს.

უცებ შუბლი შეეჭმუხნა ბერიკაცს: — ახლა, გვერდით მომისხედით და მომისმინეთ! ყოველდღე ასეთ ნეტარებაში იქნებით, თუ ჩემი ჭკუით ივლით! უსაქმური ღმერთსაც არ უყვარს!

— რა უნდა ვაკეთოთ?

— ახლავე აგიხსნით ყველაფერს!

იმ დღიდან გამოიცვალნენ ბიჭები. თოფ-იარაღში ჩასხდნენ. ულაყი ცხენებივით დაშლიგინობდნენ ვაკეში, თბილისში, მთელს საქართველოში და ყველგან სისხლსა და ცრემლს არიგებდნენ.

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფულის გამოძალვის მიზნით, მარნეულის რაიონის სოფელ პულავერიდან შაუმიანელი, 39 წლის ჰამლეტ სარქისიანი მოიტაცეს.

როცა ვერც „წამალი" მიიღეს და ვერც ფული, კაცი მიაყენეს კედელთან და მოკლეს.

თბილისში ერთ-ერთ მოქალაქეს ბინაში ყაჩაღურად დაესხნენ თავს, 30.000 დოლარი და ვიდეოაპარატურა წაართვეს.

ეს, რაც, ჯერჯერობით, დააცდენინეს ყაჩაღებს, რასაც კიდევ დააცდენინებენ?

ბორკილები რომ დაადეს, ნირი წაუხდათ, საშველად ბელადს, მამასა და მარჩენალს, იმ ბერიკაცს უხმეს.

— ეშმაკს როგორ ენდეთ, ეშმაკს! — ესმოდათ ხმა და აუტანელი ხითხითი.

შველა კი არსაიდან ჩანდა.

„ᲕᲐᲛᲞᲘᲠᲐᲡ" ᲘᲪᲜᲝᲑᲗ?

ᲧᲕᲔᲚᲐ ატყობდა, „მხედრიონსა" და მხედრიონელებსაც ასეთივე ბედი ეწერათ, მაგრამ დუმდა. ბევრი აფრთხილებდა კიდეც, გონს მოსვლას ურჩევდა, ხან ჯოჯოხეთით, ხან ღმერთით, ხანაც ეშმაკით აშინებდა.

ღმერთი არ სწამდათ, ჯოჯოხეთი შორს იყო. ეშმაკის მსახურნი კი თავად იყვნენ.

განსაკუთრებით რუსთავში გაიფოფრნენ და გაჯიჯღლდნენ. ამას წინათ ვნახე, მათ შტაბბინას ცოცხალი კედელი, რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსი ეკრა გარს. ფაქტობრივად, ორი-სამი ათასი კაცი მძევლად ჰყავდათ.

არც მალავდნენ განზრახვას.

— აბა, გაგვიბედოს ვინმემ რამე, ყველას შქელგაბრიელს მივუსევთო!

დღესაც უკვირთ, რა ხერხი იხმარეს, ასე უმტკივნეულოდ, უსისხლოდ რომ ალაგმეს „კანონიერი ყაჩაღები".

თბილისში თუ რესპუბლიკის სხვა მიმართულებით სამარშრუტო ტაქსი ვერ გავიდოდა, ბაჟის გადაუხდელად.

ქვემო ქართლის მაშველთა კორპუსის ყოფილი უფროსის ბესიკ ჩხეიძის ბრძანებით 1994-95 წლებში, ე. წ. „სტამბოლის ბაზარზე" დაბინავებულ ტაქსის მძღოლებს ერთხელ 43,2 მილიონი რუბლი გამოსძალეს.

მეორედ, მაშველთა კორპუსის წევრებმა ვალერი გორგოშიძემ და იური ბაზიარმა ტაქსისტებს 63 მილიონი რუბლი წაართვეს, თენგიზ ფრუიძემ კი 40 მილიონი.

თბილისის მაშველთა კორპუსის ყოფილ უფროსს დავით წერეთელს, მეტსახელად „ვამპირას" თუ იცნობთ?

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა „ვამპირას" ახალი „გმირობა" დაადგინა: 1993 წლის ნოემბერში მან დავით მამალაძესა და გია გოლეთიანთან ერთად ზუგდიდში ბოჩია გერგედავას სახლი გაძარცვა, ძვირფასეულობა და სასურსათო პროდუქტებიც კი წაართვა.

დრონი მეფობენ...

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

ᲜᲔᲑᲐ მიბოძეთ, „წითელ ხიდს" „ოპიუმის ხიდი" ვუწოდო.

ჰოდა, ამ „ოპიუმის ხიდთან" ისეთი კაცი დააკავეს, გაოცებისგან კინაღამ კედელზე გავედი.

არა, ამ კაცს გასაოცარი და გაუგონარი არაფერი გაუკეთებია. უბრალოდ, საკვირველია, ასეთი სისწრაფით როგორ ვრცელდება და იკიდებს ფეხს მსოფლიოს დანაშაულებრივი სამყაროს „საუკეთესო მიღწევები".

მსოფლიო დამნაშავეობათმცოდნეობა კარგა ხანია იცნობს მსგავს კურიოზებსაც და კურიერებსაც.

ჩვენ, ქართველებს კი, ღვთის წყალობით, უარესი გვინახავს და გაგვიგონია.

თბილისელმა დავით მაისურაძემ სპეციალური კაფსულებით ოპიუმი გადაყლაპა. ჩამოვიდოდა თბილისში, ბუნებრივ მოთხოვნილებას დაიკმაყოფილებდა და ბუნების ყველა კანონის თანახმად, ოპიუმით გატენილ კაფსულებს დაბადებდა.

უნდა გენახათ, რა ჯაფა დაადგათ ექიმებს, დავით მაისურაძე რომ „ემშობიარებინათ".

საუბედუროდ, ნაყოფი უდღეური აღმოჩნდა. ახალშობილის წონა სულ რაღაც 15,5 გრამი იყო.

სხვებს ერთკილოგრამიანიც უშობიათ, ორკილოგრამიანიც...

ვუთანაგრძნოთ მაისურაძეს, რომელსაც არ უნდა მოსვლოდა ასეთი შეცდომა, რადგან სამგზის ნაციხარია...

ᲖᲐᲣᲠ ᲛᲐᲙᲐᲠᲐᲫᲔ.

მორიგე რედაქტორი ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ — ᲨᲞᲡ „ᲞᲠᲔᲡᲐ"

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი, 8. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66424. ტელ.: 99-78-24.

მთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.